ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge



გვ.5

### მარნეულში მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარედგინა

### 20 წლის ვახტანგ ჩარკვიანის მამის განცხადებით, მისი შვილის სამედიცინო ისტორია გაყალბებულია



გვ.5

პარასკევი, 8 ივლისი, 2022 №133 (8911) ფასი: 80 თეთრი

# „ნაციონალებშიც არის ხალხი, რომლებსაც მიშა ციხეში გამომწყვდეული ურჩევნიათ“



გვ.2

შალვა ხაჭაპურიძე: „მოუწევთ მიხეილ სააკაშვილის ან მთლიანად გათავისუფლება, ან სასჯელის გადავადება“



## „ქართული ოცნება“ ცდილობს, ევროკავშირი მესამედ გადააგდოს“



გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ახლა საყოველთაო ბოიკოტის დროა. „ოცნება“ არ ცვლის თამაშის წესებს. ოპოზიცია რატომ უნდა აჰყვეს ამ წესებს?!“

## „სექტემბრისთვის კორონავირუსის კიდევ ერთი ტალღა გვექნება“

ვატო სურგულაძე: „აუცილებლად უნდა ვატაროთ პირბადე ტრანსპორტში და დახურულ და ხალხმრავალ ადგილებში“



გვ.3

## ელენე ხოშტარია გომელაურის, ლილუაშვილისა და კობიძისთვის პერსონალური სანქციების დაწესებას ითხოვს



გვ.4



გვ.4

## გია ვოლსკი: „რადიკალური ოპოზიციის ჩართულობა ფანტასტიკის სფეროდანაა“

## ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით ავსტრიაში გაემგზავრა



გვ.4

## „უკრაინამდე პუტინმა ომი საქართველოში დაიწყო“



გვ.4

პუტინის ოპონენტი ფელშტინსკი: „ომში უკრაინის მხარეს ნატო უნდა ჩაერიოს“

## პაატა მანჯგალაძე: „ნეტარ არიან მორწმუნენი“



გვ.2

2 ბორის ჯონსონი გადადგა

5 ციხეში მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარედგინა

5 სააკაშვილის სასამართლო პროცესებს, შესაძლოა, ევროკავშირის წარმომადგენლები დააკვირდნენ

6 ჩინეთმა და ინდოეთმა რუსეთს 3 თვეში 24 მილიარდი დოლარი გადაუხადეს

# „ნაციონალებშიც არის ხალხი, რომლებსაც მიშა ციხეში გამომწყვდეული ურჩევნიათ“

## შალვა ხაჭაპურიძე: „მოუწევთ მიხეილ სააკაშვილის ან მთლიანად გათავისუფლება, ან სასჯელის გადავადება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მიხეილ სააკაშვილის უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

***— ბატონო შალვა, საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ თქვენ მიხეილ სააკაშვილის ინტერესების დამცველი ხართ. სანამ მისი ადვოკატი გახდებოდით, მანამდეც ამბობდით, უცხოელი ექსპერტების მიერ უნდა ჩატარდეს ექსპერტიზაო და აი, დააყენეთ კიდეც ეს საკითხი. რა ხდება, როგორია სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რა გეგმები გაქვთ და რას ელით?***

— პირველ რიგში რაც უნდა ითქვას, არის ის, რომ მიხეილ სააკაშვილი ცუდად გრძნობს თავს. დამძიმებულია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ ეს ყველაფერი გვესმის 9 თვეა. იძახდნენ, ცუდადაა, ცუდადააო და ექსპერტიზის დასკვნები საზოგადოებისთვის ცნობილი არ ყოფილა ამდენი ხანი. მე რომ მივედი ამ საქმეში, დანიშნული დამხვდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა „ემპათიაში“ მარიამ ჯიშკარიანის მიერ თუმცა დავაყენე საკითხი, რომ თუ მე ჩავერთვებოდი ამ საქმეში, მარტო ეს დასკვნა არ იქნებოდა საკმარისი.

***— ბატონო შალვა, ვისი თხოვნით ჩაერთეთ ამ საქმეში, ოჯახის წევრების თუ უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის?***

— უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის გამოგზავნილი წერილით და მერე მისი დედა შემხვდა. ამის შემდეგ კიდევ ერთი-ორი შეხვედრა იყო და პატიმარსაც შევხვდი, ვისაუბრეთ. მოკლედ, ერთი-ორი კვირა გრძელდებოდა ეს მოლაპარაკება. რაც შეეხება საქმეს, ჩემი კატეგორიული მოთხოვნა თავიდანვე იყო ის, რომ აუცილებლად უცხოელი ექსპერტები უნდა ჩართულიყვნენ მასში. ვიცით, აქ როგორც არის, გარკვეული ადამიანები, ექსპერტები მიაჩნიათ მხარეებად. მე სააკაშვილის მომხრეობას ვერავინ ვერ დამაბრალებს, იმედია.



***— ბევრს გაუკვირდა, როდესაც სააკაშვილის უფლებადამცველი გახდით. ყველას გვახსოვს, როგორ ებრძოდით მის ხელისუფლებას.***

— მე უფრო შორსაც წავალ და ვიტყვი, რომ დღევანდელ „ქართულ ოცნებაში“ არ არის ადამიანი, რომელიც ჩემსავით ებრძოდა მიხეილ სააკაშვილს. მე არც ფიზიკური ბრძოლა დამკლებია და არც შევიწროება. თუ რამე ჯოჯოხეთი იყო, ყველაფერი გამოვიარე. პლუს ამას, პატიმრების 99%-ის, ვინც თვლიდა, რომ პოლიტპატიმრები იყვნენ, ადვოკატი ვიყავი და ბევრსაც საერთოდ უსასყიდლოდ ვემსახურე, რადგან პოლიტიკური რეჟიმისგან იყვნენ შევიწროებულნი.

***— მიხეილ სააკაშვილის დაცვის გადაწყვეტილებაც მიიღეთ. რას ელით, რამდენად არის შანსი, რომ მართლაც გადაუვადდეს სასჯელი და საზღვარგარეთ გავიდეს სამკურნალოდ?***

— ის გზა და სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც დაგეგმილი მაქვს და მივდივარ გეგმის მიხედვით, ზუსტად ისე თუ გაკეთდა და, დარწმუნებული ვარ, გაკეთდება, სასამართლოს, შანსი იმისა, რომ არ გაუშვას მიხეილ სააკაშვილი, აქვს ნული! სამართალში ვიცით ხოლმე იურისტებმა თქმა, დღევანდელ ჩვენს სასამართლოში მოსამართლეს თუ დაუტოვებ კარს, თავისუფლად გავა იმ კარიდან. თუ დაუტოვებ პატარა ღრიჭოს, იმაშიც მიძვრება. სამწუხაროდ, ასეთი რეალობაა, მაგრამ ამ საქმეში მოსამართლეს არ ექნება პატარა ჭუჭრუტანაც კი, რომ გაძვრეს. მოუწევთ მიხეილ სააკაშვილის ან მთლიანად გათავისუფლება, ან სასჯელის გადავადება.



***— წავლენ მის გათავისუფლებაზე?***

— ალბათ არ წავლენ. ჩვენ ვითხოვთ გადავადებას და ეს კანონიერი მოთხოვნაა.

***— რამდენად ხანგრძლივი იქნება ეს პროცესი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რამდენად გაუძლებს ამ დროს?***

— უნდა გაუძლოს, სხვა გზა არა აქვს. თუ სათანადოდ არ ვიქნებით მომზადებული ამ პროცესისთვის, მაშინ მის შეტანას საერთოდ აზრი არა აქვს. ამიტომ სააკაშვილს მოუწევს, გარკვეული პერიოდი გაუძლოს, დაახლოებით ალბათ 2-3 კვირა კიდევ. „ემპათიამ“ თითქმის დაამთავრა თავისი დასკვნა, მაგრამ მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ამერიკელი ექსპერტები ჩაერთონ ამ საქმეში.

***— ბატონო შალვა, ისე ხომ არ გამოვა, რომ მიხეილ სააკაშვილის საქმის მოგებით თქვენ ხელისუფლების საქმესაც გააკეთებთ დასავლეთში? 12– პუნქტიან გეგმაში ერთ-ერთ პუნქტად სწორედ სააკაშვილის საკითხი და მისი სამკურნალოდ გაყვანაა დაყენებული.***

— რა ჭკვიანური მიგნებაა. ბოლო პერიოდში ჩემი აქტიურობით, რომელიც სააკაშვილის უკავშირდება, დაიზაფრნენ როგორც ხელისუფლების, ისე ნაცმოძრაობის წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, ჯანსაღი აზრი ორივე მხარეს არის, თუმცა, არსებობს კატეგორია, თანაც ორივე მხარეს, რომელსაც ურჩევნია, მიშა ციხეში იყოს გამომწყვდეული და არ გავიდეს ქვეყნიდან სამკურნალოდ, ხოლო საღად მოაზროვნე საზოგადოებას აწყობს, რომ სააკაშვილი წავიდეს.

***— და ამით ამ ყბადაღებულ თემას, პოლარიზებას, ერთხელ და სამუდამოდ ეშველოს.***

— ამით წერტილი დაესმება ამ საკითხს და ქვეყანა ამოისუნთქავს. ეს ერთი საკითხი მაინც იქნება მოგვარებული წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით.

***— სასჯელის გადავადება რა დროს ისახავს მიზნად?***

— კანონით ერთწლიანი გადავადებაა და ყოველ წელიწადს უნდა წარმოადგინოს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. სასჯელის დროებით გადავადებას ვითხოვთ, სანამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გამოსწორდება.

***— ანუ გაქვთ იმედი, რომ სასამართლოს სხვა გზას არ დაუტოვებთ და თქვენს მოთხოვნას დააკმაყოფილებს?***

— ამ სასამართლოებისგან ყველაფერია მოსალოდნელი, აბსოლუტურად ყველაფერი. სამართლებრივ ნონსენსებს ვაწყდებით. გამორიცხული არაფერია, მაგრამ შანსი დიდია. პირდაპირ გეტყვით, 99,9% ჩვენია. მე ახლა ვმუშაობ იმაზე, რომ სასამართლოს ის მინიმალური შანსიც არ დავუტოვოთ.

# პაატა მანჯგალაძე: „ნეტარ არიან მორწმუნენი“

ვისაც სჯერა, რომ „ქართული ოცნება“ მომავალ 6 თვეს რეფორმების სიმულაციისთვის არ გამოიყენებს, მივიდნენ და შალვა პაპუაშვილთან შეხვედრას დაესწრონ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ – ნეტარ არიან მორწმუნენი – ვისაც „ქართული ოცნების“ სჯერა, ჩვენ მათ გავატარებთ!

ეს განცხადება ჟურნალისტებთან „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატმა პაატა მანჯგალაძემ გააკეთა.

როგორც მანჯგალაძემ განმარტა, „ქართული ოცნების“ მიმართ ნდობა არ არსებობს, ხოლო იმისთვის, რომ ნდობა აღდგეს მმართველი გუნდის მიმართ, აუცილებელია რიგგარეშე სესიის მოწვევა და საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის მეორე მოსმენით მიღება.

– ოპოზიციის სახელით საუბარი არ შემიძლია. ყველა პარტიას თავისი გეგმა აქვს. „სტრატეგია აღმაშენებლის“ პოზიციაა და ამაში ბევრი პარტია გვეთანხმება, რომ მთავარია, „ქართულმა ოცნებამ“ პირველ რიგში ნაბიჯი ნდობისთვის გადმოდგას, ვიდრე მომავალში გასაკეთებელ საქმეებზე ვილაპარაკებთ. მათ გადმოყოლილი აქვთ ვალი შარლ მიშელის დოკუმენტიდან – ეს არის საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება. იმისთვის, რომ მხარეებს შორის ნდობა აღდგეს, დაინიშნოს პარლამენტის რიგგარეშე სესია, სადაც საკონსტიტუციო ცვლილებებს მეორე მოსმენით მივიღებთ.

„ქართული ოცნების“ მიმართ ნდობა არ არსებობს. ჩვენ „ქართულ ოცნებას“ ერთხელ ვენდეთ, მაგრამ საზოგადოება „გადააგდეს“. ამის შემდეგ იყო შარლ მიშელის დოკუმენტთან დაკავშირებული პროცესი, როცა შარლ მიშელიც კი „გადააგდეს“. არანაირი მოლოდინი იმისა, რომ ახლა შალვა პაპუაშვილი აიღებს პასუხისმგებლობას და პროცესებს შეცვლის, ჩვენ არა გვაქვს, – განაცხადა პაატა მანჯგალაძემ.




შეგახსენეთ, რომ პარლამენტის კომიტეტების ფარგლებში საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად ევროკავშირის მიერ დადგენილ 12-პუნქტიანი პირობის შესრულების საკითხზე მუშაობა იწყება.

პირველ სხდომას ამ დღის წესრიგით პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი გამართავს, რომელიც 7 ივლისს, 12:00 საათზე გაიმართა.

პარტია „ქართული ოცნება“ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 12 პირობის შესასრულებლად პარლამენტის კომიტეტების ფარგლებში რამდენიმე სამუშაო ჯგუფის შექმნას გეგმავს. სამუშაო ჯგუფი შეიქმნება მათ შორის დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონზე მუშაობის მიზნით. ასევე, დაკომპლექტდება მონიტორინგის ჯგუფი დეპოლარიზაციის ხელშესაწყობად.

მმართველი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ევროკავშირის მიერ დადგენილი 12 პუნქტის შესრულების კონკრეტული გეგმა 1-ელ ივლისს წარადგინა. ამ გეგმის თანახმად, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან ყველა საპარლამენტო პარტიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით სამუშაო ჯგუფი შეიქმნება, რომელიც საპარლამენტო ზედამხედველობის სფეროში პარლამენტის რეგლამენტის აღსრულების ყოვლისმომცველ შეფასებას უზრუნველყოფს და მოამზადებს საკანონმდებლო ინიციატივას გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.



# ბორის ჯონსონი გადადგა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი გადადგა. მისი თქმით, ნათელია კონსერვატიული პარტიის ნება, რომ პარტიას ახალი ლიდერი, ქვეყანას კი ახალი პრემიერ-მინისტრი სჭირდება.

მისი თქმით, დანიშნა კაბინეტი, რომელიც იმუშავებს და ის შეასრულებს მოვალეობას ახალი ლიდერის არჩევამდე.

ჯონსონი ამბობს, რომ ახალი ლიდერის არჩევის პროცესი ახლა უნდა დაიწყოს და განრიგი მომავალ კვირას გახდება ცნობილი.

# იოსელიანი ოქრიაშვილს: „ჯიგარო, 2024-ში ისევ „ქოცობა“ გიწევს“

„კახა, ჯიგარო, შენივე პერსპექტივიდან გიპასუხებ. 2012 წლამდე ნაცი იყავი, 2016-ში გაქოცდი, 2020-ში ისევ განაცდი და 2024-ში ისევ ქოცობა გიწევს. და მოდი, ისე ნუ იზამ, უკან მოსაბრუნებელი პირი არ დაიტოვო“ – წერს ლევან იოსელიანი სოციალურ ქსელში. ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, კახა ოქრიაშვილი, სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, სადაც „ქართულ ოცნებას“ ქვეყნის ინტერესებით ვაჭრობაში ადანაშაულებს, ხოლო პატარა პარტიებს, „გირჩსა“ და „მოქალაქეებს“ ხელისუფლების თანამონაწილეებად მოიაზრებს.

„მოქალაქეები“ და „გირჩი“ „ოცნების“ ისეთივე ნაწილია, როგორც „ყაველაშვილის ტრიო“, – ამბობს კახა ოქრიაშვილი.



ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავრაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ ცდილობს, ევროკავშირი მესამედ გადააგდოს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ახლა საყოველთაო ბოიკოტის დროა. „ოცნება“ არ ცვლის თამაშის წესებს. ოპოზიცია რატომ უნდა აჰყვეს ამ წესებს?!“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, როგორია თქვენი პოზიცია ირაკლი კობახიძის შემოთავაზებისადმი? ხელისუფლება მზად არის, სტატუსის მიღებიდან ერთ თვეში საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღოს პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან და 2%-იან ბარიერთან დაკავშირებით.***

– ბიძინა ივანიშვილმა კობახიძის პირით საბოლოოდ თქვა უარი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსზე. კობახიძემ ღიად თქვა, რომ ისინი არ აპირებენ 12-პუნქტიანი პირობის შესრულებას. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობაზე თქვეს უარი – მხოლოდ მას შემდეგ მივიღებთ საკონსტიტუციო ცვლილებებს, ანუ გადავალთ სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე, თუ კანდიდატის სტატუსს მოგვცემენო. ეს არის ვაჭრობა. ევაჭრებიან ევროკავშირს. გვითხრეს, რომ ამ ექვს თვეში არანაირი საკონსტიტუციო ცვლილებები არ იქნება, ანუ გვექნება მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემა და 5%-იანი ბარიერი.

ახლა უკვე მესამედ უნდა გადააგდონ ევროკავშირი. თვით შარლ მიშელი ხომ გადააგდეს ოპოზიციასთან ერთად. ბიძინა ივანიშვილი ხომ ცალკე დაჰპირდა ქართველ ხალხს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას, მაგრამ, ხომ გახსოვთ, ხუნდაძეებმა ბიძინა რომ დატუქსეს თუ აუჯანყდნენ, როგორ გაბედე მაჟორიტარების დაუკითხავად ამ პირობის მიცემაო. შეუძლებელია, ასეთ მატყუარა და გადამგდებ ხალხთან, რომელთაც ამ ქვეყნის ხელისუფლება ჰქვიათ, ურთიერთობა.

სადმე თუ გაგონილა, შიდა პოლიტიკური სივრცე ან საერთაშორისო პოლიტიკა თუ იცნობს „პოსლეზე“ პოლიტიკურ შეთანხმებას?! ბიძინა ივანიშვილი ახალ მწვერვალებს იპყრობს პოლიტიკაში. კობახიძეზე საერთოდ არ ღირს საუბარი. სამარცხვინოა ეს ყველაფერი. თავი მოგვჭრეს ევროკავშირშიც და ყველგან. ამათი ნდობა რომ არ შეიძლება და საერთაშორისო გადამგდები ხელისუფლების სტატუსი რომ აქვთ, გასაგებია, მაგრამ „პოსლეზე“ გაგონილა ევროკავშირთან ვაჭრობა?!

***– 2-პროცენტიან ბარიერზე მინდა გკითხოთ. როგორც ექსპერტები ამბობენ, დაბალი ბარიერი ძალიან მნიშვნელოვანია ამ სიტუაციაში როგორც მრავალპარტიული პარლამენტის მხრივ, ისე პროცესების ქუჩიდან პარლამენტში გადატანის მიზნით. შეიძლება, ეს ერთგვარი დათმობაც იყოს?***

– რაზე ვსაუბრობთ, რომელ 2– პროცენტიან ბარიერზე, ადამიანი გამოვიდა და გარკვევით გვითხრა – „პოსლეზეო“. ახლავე ვიღებთ საკონსტიტუციო ცვლილებებს და საარჩევნო ბარიერსაც ვწევთ 2 პროცენტამდეო, რომ ეთქვა, სხვა საქმე იქნებოდა.

აბსოლუტურად სწორია, 5%-იან ბარიერს 2%-იანი სჯობია. ისე, ბუნებრივი ბარიერი ბევრად უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ამაზე ხომ არ არის საუბარი. საუბარია იმაზე, თუ სტატუსს მოგვცემენ, მერეო. ან ირაკლი კობახიძემ საკუთარი ოჯახის წევრები მოატყუოს, რომ ამბობს 5%-იანი ბარიერი ნაციონალურ მოძრაობას აწყობსო. ყველაზე მეტად თვითონ „ქართულ ოცნებას“ აწყობს მაღალი ბარიერი, რომ მუდმივად იყვნენ ხელისუფლებაში.

რა თქმა უნდა, დაბალი ბარიერი ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღებისთვის, გამრავალფეროვნებისთვის, მაგრამ არ სწევენ და რომელ დათმობაზეა საუბარი. ევროკავშირს ევაჭრებიან, ოპოზიციას საერთოდ ვინ ესაუბრება. რა საინტერესოა, რას ელოდება ეს ხალხი პარლამენტში. რატომ არ ტოვებენ პარლამენტს, კობახიძეს რატომ უმაგრებენ ზურგს?! მეტი რაღა უნდა მოხდეს, ევროკავშირს „პოსლეზე“ ევაჭრებიან, საერთოდ უარს ამბობენ 12 პუნქტის შესრულებაზე. ამაში ხომ უკვე არავის აღარ ეპარება ეჭვი!

***– თუ გაქვთ ინფორმაცია, საბოლოოდ რა გადაწყვეტილება მიიღო ოპოზიციამ? როგორც ვიცით, პარლამენტის დატოვებაზეა საუბარი.***

– დროულად უნდა მიიღონ ეს გადაწყვეტილება. ახლა გადაწყვეტილებები სწრაფად არის მისაღები. როდემდე, რომელ საათამდე აპირებენ დალოდებას?! დღეს ოპოზიციის პარლამენტში ყოფნა ერთადერთ რამეს აკეთებს – რეჟიმს ამყარებს და აძლიერებს. ვინც რეალური ოპოზიციაა, მან უნდა დატოვოს პარლამენტი. სხვა გამოსავალი არ არსებობს. თავიდანვე არ უნდა შესულიყვნენ. ეს უკეთესი იყო. ამდენს არ დააშავებდა „ქართული ოცნება“, მაგრამ ზოგი მიამიტობით შევიდა, ზოგიც – რა გითხრათ, აბა. დრო არის მოქმედების, მკაფიო გადაწყვეტილებების. ახლა საყოველთაო ბოიკოტის დროა. მეტი რაღა უნდა მოხდეს. უარს ამბობენ ქართველი ხალხის ყველაზე სანუკვარ სურვილზე.

თუ ოპოზიცია არ მიიღებს პარლამენტის



დატოვების გადაწყვეტილებას, მაშინ, ვერაფრით ვერ გაამართლებენ, რატომ რჩებიან იქ. მაშინ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ერთადერთი მიზნით, რათა გაამყარონ რეჟიმის ძალაუფლება.

***– შემდეგ რა იქნება, როგორი უნდა იყოს პოლიტიკური პროცესი?***

– პროცესი უნდა გადავიდეს ქუჩაში მხოლოდ ორი მოთხოვნით: ვადამდელი არჩევნები პროპორციული სისტემითა და დაბალი ბარიერით. მეორე მოთხოვნა კი უნდა იყოს ივანიშვილისა და მისი გარემოცვის სანქცირება. როდესაც ლეიბორისტები სანქციებზე ვსაუბრობდით, ოპოზიციაშიც კი არავის სჯეროდა, მაგრამ, როგორც ჩანს, რეალობაა. თუ „ოცნება“ არ ცვლის თამაშის წესებს, ოპოზიცია რატომ უნდა აჰყვეს ამ წესებს?! დღის წესრიგი ჩვენ უნდა შევქმნათ.

# „სექტემბრისთვის კორონავირუსის კიდევ ერთი ტალღა გვექნება“

## ვატო სურგულაძე: „აუცილებლად უნდა ვატაროთ პირბადე ტრანსპორტში და დახურულ და ხალხმრავალ ადგილებში“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.**

***– ბატონო ვატო, თქვენთვისაც ცნობილია, რომ კოვიდინფიცირებულთა რიცხვი კვლავ საგრძნობლად იმატებს. გვესმის შეფასებები, რომ სიტუაცია მაქსიმალურად მიშვებულია. რამდენად სახიფათოა სიტუაცია, რას ელოდებით?***

– მე ადრეც ვთქვი, რომ ივნისის ბოლოდან დაიწყებს მომატებას და ახლა ისეთი სურათი იკვეთება, რომ სექტემბრისთვის კიდევ ერთი ტალღა გვექნება. მით უმეტეს, ჩვენ ის პრობლემა გვაქვს, რომ აცრები პრაქტიკულად გაჩერდა და არ კეთდება. ერთადერთი, ვინც უცხოეთში მიდის, ის ხალხი თუ იკეთებს. განსაკუთრებით საფრანგეთი აღარ უშვებს ბუსტერ აცრის გარეშე. ჩვენს ქვეყანაში კი კოვიდთან ბრძოლის წინააღმდეგ პრაქტიკულად არაფერი არ ხდება. აქედან



გამომდინარე, ძალიან რთული სიტუაცია გვექნება სექტემბრიდან. ყოველდღიურად იმატებს დაავადებულთა რიცხვი, თუმცა ჯერ მაინც არ ხდება ამის გამოქვეყნება ისე, როგორც ადრე იყო. რაღაცნაირად ჟურნალისტები თუ გაიგებენ სტატისტიკას და მერე დაინტერესებული პირებიც მათგან ვიგებთ.

***– რატომ არ აქვეყნებენ?***

– დამოკიდებულებაა ასეთი, საერთოდ არ აინტერესებთ. ამას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, მიაჩნიათ, რომ ზედმეტი განცხადებები და მოწოდებები არ არის საჭირო, რათა ხალხი არ დაიძაბოს. აი, ასეთი მთავრობა გვყავს. ჩვენ არ გვყავს პასუხისმგებლობის მქონე მთავრობა.

***– ჯანდაცვის მინისტრი რატომ არ ჩანს?***

– საერთოდ ვინ არის, რა პიროვნებაა ჩვენი ჯანდაცვის მინისტრი, იცის ვინმემ?! მე არ ვიცი. საიდან მოვიდა ან რა უნდა? რა ცოდნა აქვს? ქოცამომრჩეველს მოსწონს, რა გინდა, მაგარი მენეჯერიაო. რა შუაშია მაგარი მენეჯერი. ურთულესი ჯანდაცვის სისტემა გვაქვს.

***– ახლა რა შტამი დომინირებს ძირითადად?***

– ახლა არის ომიკრონის ერთ-ერთი ქვესახეობა. სამწუხაროდ, არ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია. ძალიან მწირ ინფორმაციას ვფლობთ. რა იქნება, კიდევ რა მუტაციები იქნება, რამდენად გართულებული იქნება ვითარება, ძნელია ამაზე საუბარი, მით უმეტეს ჩვენს ქვეყანაში, სადაც 37%-იც არ არის აცრილი. ბუსტერიზაციაზე რომ გადავიდეთ, აქ საერთოდ დაბალი მაჩვენებელი გვაქვს. ამიტომ, დამიჯერეთ, სექტემბერში სიტუაცია ძალიან გართულდება. არ გამოვრიცხავ, იყოს კიდევ ერთი ძლიერი ტალღა, თავისი სიკვდილიანობით, რაც ყველაზე სამწუხაროა. ივსება კლინიკები, უკვე ბევრი პაციენტია ჰოსპიტალიზებული.

***– რატომ არაა მოწოდება ისევ ნიღბების გაკეთებისკენ დახურულ სივრცეებსა და ხალხმრავალ ადგილებში მაინც?***

– აუცილებლად უნდა ვატაროთ პირბადე ტრანსპორტში და დახურულ და ხალხმრავალ ადგილებში. ზაფხულია, ცხელა, ვიცი, რომ ეს ძალიან ძნელია, მაგრამ მე მათ ადგილას უკვე დავიწყებდი ნიღბების შემოღებას, თორემ მერე გვიანი იქნება. აი ნახეთ, ბათუმში რა მოხდება აგვისტოში. ზუსტად იგივე მოხდება, სამწუხაროდ, რაც მოხდა 2020-ში. სექტემბერში კი გვექნება აფეთქება. აგერ თქვენ და აგერ მე. ძალიან არ მინდა, მაგრამ ამას ვერ გავექცევით.

# ირაკლი ქადაგიშვილი ოპოზიციას მოუწოდებს

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი ოპოზიციას, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ექსპერტებს 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების საკითხზე მუშაობის პროცესში ჩართვისკენ მოუწოდებს.

როგორც ქადაგიშვილმა სხდომაზე განაცხადა, იმედოვნებს, რომ ოპოზიცია თავის თავში ჩამოყალიბდება.

– ვხედავთ, რომ ოპოზიცია ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არაა. ოპოზიციონერი დეპუტატები, კომიტეტის წევრები სხდომას არ ესწრებიან. მაგრამ იმედს ვიტოვებ, ოპოზიცია თავის თავში ჩამოყალიბდება და მონაწილეობას მიიღებს ამ სამუშაოს შესრულებაში, როდესაც სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყება. ასევე მოვუწოდებთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ პროფესიული შეხება და მუდმივად თანამშრომლობენ და მონიტორინგს აწარმოებენ პარლამენტის საკონტროლო ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე მივმართავთ ყველა იმ ექსპერტს, რომელიც საგნობრივად და პროფესიულად მუშაობს ამ საკითხებთან დაკავშირებით, – განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

ამასთან, კომიტეტის თავმჯდომარემ ისაუბრა სამუშაო გეგმაზე, რომლის მიხედვითაც, მისი თქმით, საშემოდგომო სესიის დაწყების მომენტისთვის საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი კანონპროექტი უნდა იყოს დარეგისტრირებული.

– იმისთვის, რომ დავინახოთ ის დიდი მუშაობა, რომელსაც საპარლამენტო კონტროლი ჰქვია, როგორ სრულდება, სად ვართ და რა გამოწვევები გვაქვს, რა პრაქტიკაა და ამის საფუძველზე დავინახოთ დამატებით რა საკითხებია წინ წამოსაწევი – ამისთვის კომიტეტის გადაწყვეტილებით, დავალება მიეცეს კომიტეტს და აპარატს, რათა მოხდეს ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის შესწავლა.



ამ დოკუმენტის საფუძველზე საგნობრივად შეგვეძლება სამუშაო ჯგუფში ყველა ჩართულ მხარესთან ერთად მივაღწიოთ კონკრეტულ შედეგს. ეს გულისხმობს შემდეგს – როდესაც გვეცოდინება, დანახული და შეჯერებული გვექნება ის გამოწვევები, რაც შეიძლება საპარლამენტო კონტროლის სახით არსებობდეს ან დამატებითი გამოცდილება, რომლის გაზიარებაც შეიძლება საუკეთესო ევროპული პრაქტიკიდან საჭიროდ ჩავთვალოთ, ამის კანონპროექტად ქცევა და დარეგისტრირება მოვახერხოთ. დედლაინიც გვაქვს განსაზღვრული, რომ 21 სექტემბრისთვის ანუ საშემოდგომო სესიისთვის უკვე კანონპროექტი უნდა გვქონდეს დარეგისტრირებული, ერთი იქნება თუ რამდენიმე, სამუშაო ვითარება გამოაჩენს. უკვე 1-ელი ნოემბრისთვის საპარლამენტო კონტროლის კუთხით პარლამენტმა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ან სხვა სახის საკანონმდებლო აქტები უნდა მიიღოს, – განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

ცნობისთვის, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომაში, რომელიც ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებაზე მმართველი პარტიის გეგმის ფარგლებში შეიკრიბა, საპარლამენტო ოპოზიციამ მონაწილეობა არ მიიღო.

კომიტეტის სხდომას მხოლოდ „ქართული ოცნების“ დეპუტატები დაესწრნენ.

პარტია „ქართული ოცნება“ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 12 პირობის შესასრულებლად პარლამენტის კომიტეტების ფარგლებში რამდენიმე სამუშაო ჯგუფის შექმნას გეგმავს.

სამუშაო ჯგუფი შეიქმნება მათ შორის დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონზე მუშაობის მიზნით. ასევე, დაკომპლექტდება მონიტორინგის ჯგუფი დეპოლარიზაციის ხელშესაწყობად.

# გურამ მაჭარაშვილი: „განსხვავებული მიზნები გვაქვს“

– პრობლემა არის ის, რომ განსხვავებული მიზნები გვაქვს – ჩვენ გვინდა ევროკავშირში შესვლა, ოპოზიციას უნდა ხელისუფლებაში მოსვლა.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გურამ მაჭარაშვილმა განაცხადა.

მაჭარაშვილის თქმით, შეთანხმება რთულია, როცა მიზნები განსხვავებულია.

– ჩვენ გვინდა ისეთი გეგმა, რომელიც საქართველოს ევროკავშირში შეიყვანს, ამათ უნდათ ისეთი გეგმა, რომელიც ამათ ხელისუფლებაში მოიყვანს. ეს არის განსხვავება და როცა მიზნები განსხვავებულია ბუნებრივია, შეთანხმება არის რთული. აქედან გამომდინარეა სწორედ მათი განცხადებები, რომ „ქართული ოცნება“ არ შეასრულებს ევროკომისიის მოთხოვნებს და დააანონსეს აქციაზე ხალხის მოსვლა.

მერე, როცა დაინახეს, რომ დავიწყეთ 12– პუნქტიანი გეგმის შესრულება, საზოგადოებას უთხრეს, ეს ის გეგმა არ არის, რაც თქვენ გგონიათ და ჩვენ შევქმნით გეგმას, რომელიც ხელისუფლებაში მოგვიყვანსო. სწორედ ამიტომ იყო, რომ საზოგადოების მხრიდან დაინახეს პროტესტი, რადგან აქციაზე მისული საზოგადოება ელოდა, რომ ნახავდა გეგმას, როგორ შევიდოდა ევროპაში, თუმცა, დახვდათ გეგმა, როგორ მოვიდოდა ოპოზიცია და არასამთავრობოები ხელისუფლებაში, ამიტომ მიიღეს ეს შედეგი, რაც მიიღეს, – განაცხადა მაჭარაშვილმა.

# „უკრაინამდე პუტინმა ომი საქართველოში დაიწყო“

## პუტინის ოპონენტი ფელშტინსკი: „ომში უკრაინის მხარეს ნატო უნდა ჩაერიოს“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაში ომი გრძელდება. ამასთან, უკვე საუბარია იმაზე, რომ შესაძლოა, დასავლეთის სანქციები დაუწესდეთ რუსეთის ფარგლებს გარეთ მყოფ პირებს, რომლებიც მხარს უჭერენ უკრაინაში შეჭრილ აგრესორ რუსეთს. არ არის გამორიცხული, ამ კატეგორიის სანქციებმა მოიცვას ბელარუსისა და საქართველოს რუსეთუმე მოქალაქეები.



უკრაინაში მიმდინარე ომზე, რუსეთსა და ევროპაში შექმნილ სიტუაციაზე ლიტვურ მედიას ესაუბრა პუტინის ოპონენტი, ისტორიკოსი **იური ფელშტინსკი**. გთავაზობთ ამ ინტერვიუს შემოკლებით.

***– ჯერ კიდევ 2014 წელს აცხადებდით, რომ პუტინი დიდი ომისათვის ემზადება. რატომ გაგიჩნდათ ეს ვარაუდი?***

– პირველ რიგში იმიტომ, რომ ამაზე გულახდილად და მრავალგზის ლაპარაკობდა თავად პუტინი. მანამდე პუტინმა დაიწყო ომები საქართველოში (2008 წელს) და უკრაინაში (2014 წელს). მესმოდა, რომ პუტინს უბრძოლველად არავინ არაფერს დაუთმობდა. დიდი ომის პროგნოზირება იოლი იყო. ვინაიდან თვითონ პუტინის გამოსვლებში საუბარი იყო 1991 წლის შემდეგ დადგენილი საზღვრების „გასწორებაზე“, გასაგები ხდებოდა, რომ საქმე შეეხებოდა არა მარტო უკრაინის, არამედ, მთელი ევროპის რუკის გადაკეთებას.

***– თქვენი გაფრთხილება შეისმინეს? თუ არა, რატომ?***

– ისტორიკოსი ვარ და მხოლოდ წიგნების, სტატიების წერა, ინტერვიუების მიცემა შემიძლია. ჩემი და უკრაინელი ისტორიკოსის მიხაილ სტანჩევის წიგნი „მესამე მსოფლიო: ბრძოლა უკრაინისათვის“ გამოიცა კიევში უკრაინულ და რუსულ ენებზე, პოლონეთში – პოლონურად. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ორ ქვეყანაში მომისმინეს. ძნელი სათქმელია, რატომ არ შეისმინეს ჩემი გაფრთხილება სხვებმა. დავიწყოთ იმით, რომ მთელი რიგი კვალიფიციური სპეციალისტები მიიჩნევდნენ, რომ პუტინი არ წავა დიდ ომზე უკრაინის წინააღმდეგ, ვინაიდან ასეთი ომისათვის მზად არ არის. ამ თვალსაზრისით მათ ვეთანხმებოდი, თუმცა სხვა დასკვნები გამომქონდა. პუტინისა და სახელმწიფო უშიშროების კორპორატიული ხელმძღვანელობის (რომელიც მართავს რუსეთს) ლოგიკა სხვანაირად მესმოდა.

### „რუსეთს სახელმწიფო უშიშროების კორპორაცია მართავს. სიტუაციის გამოსასწორებლად აუცილებელია ფსბ-ს დაშლა“

საქმე ისაა, რომ პუტინისთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად უკრაინაში გამარჯვება, არამედ, მსოფლიოსთვის იმის დემონსტრირება, რომ მზადაა გაანადგუროს დედამიწის ის ტერიტორიები, რომლებიც არ ემორჩილებიან. ამიტომ ვხედავთ უკრაინაში გაჩანაგებულ ქალაქებს, მხეცურად დახოცილ მშვიდობიან მოსახლეობას. ეს ჩაიდინა რუსეთის არმიამ, რომელსაც სახელმწიფო უშიშროება აკონტროლებს. რუსეთის ხელმძღვანელობას ამ გზით უნდა დააშინოს მთელი მსოფლიო და კაპიტულირება აიძულოს. არგუმენტი, რომ რუსეთის ჯარი მზად არ არის დიდი ომისათვის, რომ განიცდის დიდ დანაკარგს, უკანასკნელია, რაც პუტინს აღელვებს.

პუტინი, ერთი შეხედვით, არც იმარჯვებს, რუსეთის არმია კი გაუთვალისწინებელ დანაკარგს განიცდის.

***– დასავლეთში გამოითქმის იდეები იმის შესახებ, რომ უნდა მოხდეს უკრაინის ნაწილის დათმობა, რათა შეწყდეს ბრძოლა.***

– პუტინს არ შემოუთავაზებია ომის შეწყვეტა ტერიტორიების ნაწილის სანაცვლოდ. ამიტომ ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსის აბსურდული წინადადებები პუტინისთვის უკრაინული გარკვეული ტერიტორიის მიცემაზე მშვიდობის სანაცვლოდ იმისთვის, რომ იგი „არ განადგურდეს“, „სახე არ დაკარგოს“, შეიძლება განხილულ იქნეს საფრანგეთში სამზარეულოს მაგიდებთან. რუსეთში ამ წინადადებებზე ვერავისთან იმსჯელებენ. უკრაინაშიც. პუტინს მთელი უკრაინა უნდა. და არა მხოლოდ უკრაინა. უკრაინას სურს დამოუკიდებლობა. იმისთვის, რომ პუტინმა ომი მაქსიმალურად მცირე დროში წააგოს, ომში უკრაინის მხარეს უნდა ჩაერიოს ნატო.

***– არ გამორიცხეთ, რომ უკრაინა, პოლონეთი და ლიტვა გახდნენ რუსეთის ბირთვული შეტევის სამიზნე?***

– ეს ჩემი ვერსია არ არის. ამაზე განცხადებები გააკეთეს რუსეთის ოფიციალურმა ორგანოებმა და ბელარუსის სახელით ლუკაშენკომ.

***– რუსეთში „ჯგუფური პუტინი“ არსებობს თუ პუტინი მეფეა და ყველა მას ემორჩილება? რა შეიცვლება, თუ პუტინი აღარ იქნება?***

– რუსეთს მართავს სახელმწიფო უშიშროების ოფიცერთა კორპორაცია, რომელმაც ძალაუფლება ხელში ჩაიგდო 2000 წელს. 22 წელიწადია, პუტინი გახდა პირველი თანასწორთა შორის. მისი ხელისუფლება უსაზღვროა. ხელმძღვანელობაში მას ყველა ეთანხმება. არც ოპოზიცია არსებობს.

ერთადერთი, რასაც შეუძლია სიტუაციის შეცვლა, ესაა ფსბ-ს (უშიშროების ფედერალური სამსახური) დაშლა. მის ადგილზე უნდა აიკრძალოს სხვა დასახელების ორგანოს შექმნა. ამისათვის რუსეთმა უნდა განიცადოს ისეთივე სამხედრო მარცხი ომში, როგორიც იწვნია ნაცისტურმა გერმანიამ 1945 წელს.

# რუსეთიდან საქართველოში ვიზიტორების რაოდენობა 502.9%-ით გაიზარდა



2022 წლის ივნისში საქართველოში რუსეთიდან ვიზიტორების რიცხვი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 6-ჯერ გაიზარდა.

კერძოდ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, გასულ თვეში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რუსეთიდან საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 502.9%-ით არის გაზრდილი.

უფრო კონკრეტულად, 2022 წლის ივნისში რუსეთიდან საქართველოს 90.239 ვიზიტორი ეწვია, მაშინ როცა 2021 წლის ამავე პერიოდში ეს მაჩვენებელი 14.967 იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით, ტოპ-15 ქვეყანას შორის რუსეთი პირველ ადგილზეა. მას მოსდევს თურქეთი – 62.192 ვიზიტორით, მე-3 ადგილზე კი სომხეთია – 61.974 ვიზიტორით.

# ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით ავსტრიაში გაემგზავრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის კარლ ნეჰამერის მიწვევით, ვენაში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა.



ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ღარიბაშვილი ორმხრივ მაღალი დონის შეხვედრებს გამართავს.

საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე იმყოფებიან.

# ელენე ხოშტარია გომელაურის, ლილუაშვილისა და კობიძისთვის პერსონალური სანქციების დაწესებას ითხოვს

პარტია „დროას“ ლიდერი ელენე ხოშტარია შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურისთვის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელ გრიგოლ ლილუაშვილისა და სუსის თანამშრომელ კობა კობიძისთვის პერსონალური სანქციების დაწესებას ითხოვს.

როგორც ხოშტარიამ ბრიფინგზე განაცხადა, ისინი ოლიგარქიული მმართველობის წევრები არიან და ქვეყნის ნაცვლად „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს ემსახურებიან.

მისივე განცხადებით, ამ ადამიანებმა ბიძინა ივანიშვილთან ერთად პასუხისმგებლობა უნდა აიღონ.

– გრიგოლ ლილუაშვილი – ის ბიძინა ივანიშვილის პირად საქმეებში ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იყო და უსაფრთხოების სამსახური, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, დღეს არის არა ქვეყნის, არამედ ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქიული მმართველობის უსაფრთხოების სამსახური. გარდა შანტაჟისა, პოლიტიკური დევნისა და ა.შ. ასევე, გვაქვს ინფორმაცია, რომ ის სანქცირებული ტვირთით შემოსული გემის საქმეში ფიგურირებდა, რაც, რა თქმა უნდა, შესწავლასა და დამატებით დაზუსტებას აუცილებლად საჭიროებს. აღარაფერს ვიტყვი იმ ბინძური პირადი ცხოვრების შანტაჟით სისტემაზე, მიყურადებაზე, მათ შორის, დიპლომატების მიყურადებაზე, რომელშიც სუსი ფიგურირებს.

კობა კობიძე – ის არის ე.წ. ოტოს ხელმძღვანელი. ის არის ჩართული უშუალოდ მიყურადებაში, შანტაჟში და ა.შ.

ვახტანგ გომელაური – არის ასევე, ბიძინა ივანიშვილის პირადი გარემოცვა, მისი პირადი მცველი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელად დაინიშნა. ნაცვლად იმისა, რომ ქვეყანას ემსახურებოდეს, კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს ემსახურება.

რა თქმა უნდა, სანქციები როდის იქნება, როგორი იქნება, რას გადაწყვეტენ ჩვენი პარტნიორები ეს მათი საქმეა და ამაზე სპეკულირებას არ ვაპირებთ.

ამასთანავე, უნდა გვესმოდეს, რომ დეოლიგარქიზაციის ერთ-ერთი მძლავრი იარაღი არის სწორედ ის, რომ ქვეყანას სანქციები ავარიდოთ. ამასთან, ქვეყანას ავარიდოთ ის, რომ იმ რიგში არ იყოს, რომელიც უკრაინაში სისხლიან მანქანაში მონაწილეობს და პასუხისმგებლობა ბიძინა ივანიშვილთან ერთად, სწორედ იმ კონკრეტულმა ოლიგარქიული მმართველობის წევრებმა აიღონ, ვინც ქვეყანა ამ მდგომარეობაში ჩააგდო, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.



# გია ვოლსკი: „რადიკალური ოპოზიციის ჩართულობა ფანტასტიკის სფეროდანაა“

– ბიძინა ივანიშვილი არის საპატიო ლეგიონის ორდენის მფლობელი საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, საქველმოქმედო საქმიანობისთვის, თუნდაც პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი წვლილისათვის, რომელიც გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე მასზე მდიდარი ადამიანების წვლილი.



ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილი საფრანგეთში დაფასდა, „ჩვენ კი ვერაფერს ვხედავთ“.

ვოლსკიმ ასევე ევროკავშირის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით ისაუბრა.

კითხვაზე, თუ ვინ მოუწოდებს საქართველოს ომში ჩართვისკენ, ვოლსკიმ ასე უპასუხა:

– პირველი დღიდან, ომში ჩართულობის თემაზე კაცი არ დარჩა რადიკალური ოპოზიციიდან, ვინც ამ თემაზე არ ამახვილებს ყურადღებას. ის განცხადებები, რომელიც ეხებოდა ომში ჩართულობას, ოფიციალური ორგანიზებით, მოხალისეების გაგზავნით და საერთოდ, ეს თემა აიღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მუხლად უკრაინელებმა, როცა ელჩი თავისი თანამდებობიდან გაიწვიეს. ეს მოხდა, ამას ვერავინ უარყოფს. გარდა ამისა, ყოველდღიურად იყო შეხსენება, რომ სწორედ დროა, კარგი ამინდია, რომ დაქოქოთ თქვენი ტანკები და წახვიდეთ, მათ ომის თავი არ აქვთ, ჩვენ ომი გვინდა, თუ საჭიროა, უნდა ვიომოთო და უამრავი სხვა განცხადება არსებობდა, – განაცხადა ვოლსკიმ.

კითხვაზე, მოდიოდა თუ არა მსგავსი მოწოდებები საერთაშორისო პარტნიორებისგან, განაცხადა, რომ არა.

– ასეთი პირდაპირი მოწოდებები არ ყოფილა და რა მოწოდებებიც იყო, ისიც გითხარით. ხელისუფლების ცვლილების და რევოლუციური პროცესის განვითარების მიზანი, მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ სწორედ ეს არის, შეიცვალოს ხელისუფლება და ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ადამიანები, ვინც ამას განახორციელებენ, – განაცხადა ვოლსკიმ.

კითხვაზე, თუ რა მოთხოვნები აქვთ მათ ნაციონალურ მოძრაობასთან, რომ ჩათვალონ მათი მხრიდან კომპრომისებზე წასვლა, ვოლსკი პასუხობს, რომ ეს „ფანტაზიის სფეროდანაა“.

– იმდენად ისეთია, ფანტაზიის სფეროდანაა, ამაზე დროს არ დავკარგავდი, მაგრამ რადგან მეკითხებით, გეტყვით. ელემენტარული საკითხია, უნდა დაჯდე, ისაუბრო და საკანონმდებლო მუშაობა განახორციელო 11-ვე მუხლთან დაკავშირებით, მთავარი – დეპოლარიზაცია მოხდეს, შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა იყოს და როგორც პარლამენტის რეჟიმს შეესაბამება, მიიღო საკანონმდებლო აქტები, რომელთაც შემდეგ წლის ბოლოს წარადგენ და შეფასებას დაელოდო.

მთავარია, ასეთი იქნეს მიღებული, შემდეგ შეფასებული ქართული საზოგადოების და შემდეგ, საერთაშორისო საზოგადოების მიერ. მაგალითად, ავიღოთ დეოლიგარქიზაცია. ფანტასტიკის სფეროდან იმიტომ მგონია რადიკალური ოპოზიციის ჩართულობა, რომ მათი მთავარი თემა, მთავარი შეტევის ობიექტი არის ბიძინა ივანიშვილი... რაში სჭირდება მმართველობაში ჩართული რომ იყოს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება რამე ყოველდღიურ შეცდომებს უშვებს ისეთს, რომ აუცილებლად ხელით ტარება სჭირდება, კომპეტენცია აკლია, ავტორიტეტი აკლია თუ დაფასება? ბიძინა ივანიშვილი არის საპატიო ლეგიონის ორდენის მფლობელი საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, საქველმოქმედო საქმიანობისთვის, თუნდაც, პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი წვლილისათვის, რომელიც გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე მასზე მდიდარი ადამიანების წვლილი. საფრანგეთის ყველაზე მაღალი ორდენი მიიღო ამისათვის, ანუ საფრანგეთში დაფასდა მისი წვლილი, ღვაწლი და ჩვენ ვერაფერს ვხედავთ, – განაცხადა ვოლსკიმ.

# 20 წლის ვახტანგ ჩარკვიანის მამის განცხადებით, მისი შვილის სამედიცინო ისტორია გაყალბებულია

რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაცვლილი ფეხბურთელის, 20 წლის ვახტანგ ჩარკვიანის მამის განცხადებით, მისი შვილის სამედიცინო ისტორია გაყალბებულია.

ამის შესახებ ჩარკვიანმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

როგორც დაზარალებულის უფლებამონაცვლე განმარტავს, რეგულირების სააგენტომ რესპუბლიკური საავადმყოფოს 7 ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა.

ჩარკვიანის თქმითვე, მას აღნიშნულის დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტაცია და ექსპერტიზის დასკვნა აქვს.

– რეგულირების სააგენტოს მივმართეთ ლიცენზიების საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე, მივმართეთ, ვახტანგ ჩარკვიანის სამედიცინო ისტორიასთან და იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის დარღვევებს ჰქონდა ადგილი. ამ ეტაპზე რეგულირების სააგენტოდან შუალედური დასკვნა მოვიდა, სადაც რესპუბლიკურ საავადმყოფოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით 11 პუნქტში ედება ბრალი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება. არაერთი საკითხია დასადგენი, კიდევ ბევრი დოკუმენტაცია და დასკვნა მოვა იმასთან დაკავშირებით, თუ რას სჩადიოდა რესპუბლიკური საავადმყოფოს ადმინისტრაცია და მედპერსონალი.

გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი არსებობდა იმასთან დაკავშირებით, რომ სამედიცინო ისტორია გაყალბებული და გადაწერილი იყო. ერთ-ერთ სერიოზულ ინსტიტუტში გრაფიკულ-კალიგრაფიული დამოუკიდებელი ექსპერტიზა ჩავატარეთ. გვარებით და სახელებით არის გადმოცემული, თუ ვინ, რა დანაშაული ჩაიდინა, უბრალოდ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ ვინაობას მოგვიანებით გავასაჯაროებ.

სამედიცინო ისტორიის სავარაუდო გაყალბებასთან და ისტორიის გადაწერასთან გვაქვს საქმე, თუ რისთვის დასჭირდათ ეს, ამას გამოძიება დაადგენს. ეს ყველაფერი, რაც ისტორიაშია, გადაწერილია და ხელმოწერებიც გაყალბებულია, თითქოს, ესა თუ ის დანიშნულება ეძლეოდა ჩემს შვილს. გაყალბებული ისტორიიდანაც გვაქვს რეგულირების სააგენტოს დასკვნა, სადაც 7 ექიმის პასუხისმგებლობის საკითხია დამდგარი. რეგულირების სააგენტომ დაადგინა ექიმების მხრიდან გადაცდომის, შეცდომის, დაუდევრობის, გულგრილობის თუ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები, სადაც თეთრზე შავად არის დაწერილი, რომ 7 ექიმის პასუხისმგებლობის საკითხია დამდგარი. ჯანდაცვის სამინისტრო დაადგენს მათი პასუხისმგებლობის საკითხს, რაც ლიცენზიის ჩამორთმევას, ექიმობის შეწყვეტას და ა.შ. გულისხმობს. ამ ექიმების მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლითაც უნდა მოხდეს ბრალის წარდგენა, – აცხადებს ჩარკვიანი.

ის ექიმებს არასაჭირო და პნევმონიის დროს აკრძალული მედიკამენტების გამოყენებაში ადანაშაულებს.

– 10 თვეა, რაც ჩემი შვილი გარდაიცვალა. ერთ-ერთმა კეთილსინდისიერმა ექიმმა ჩვენება მისცა, ის სხვადასხვა კლინიკაში მუშაობდა, მან ძალიან ბევრი შემაშფოთებელი ფაქტი დაადგინა. მათ შორის, ჩემ შვილს არასწორად უკეთებდნენ აკრძალულ პრეპარატს, ის მედიკამენტი, რომელიც ვახტანგ ჩარკვიანს კლინიკაში უკეთდებოდა, პნევმონიის დროს აკრძალულია, ეს გახლავთ ნარკოტიკული საშუალება, რომელიც 10-ჯერ აღემატება ჰეროინების ჯგუფს, ამას დამატებული მორფინი და კიდევ სხვა მედიკამენტები, რომელიც სასუნთქ ორგანოებს თრგუნავს და შესაძლოა, პაციენტის კომაში ჩავარდნა გამოიწვიოს,



ამისთვის ნარკოლოგის კონსულტაცია იყო საჭირო. გადასხმები ინფუზიის წესით არასათანადოდ გააკეთეს, როგორ გაუძლო ამ ადამიანმა ამ ყველაფერს 19 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით, არ ვიცი.

გარდა ამისა, ჩვენც არაფერს გვეკითხებოდნენ, არსებობს მედიკამენტების ჯგუფი, რომელიც ოჯახის წევრებთან შეთანხმების გარეშე არ უნდა გამოიყენონ. ადვოკატებმა გამომძიებელს მივმართეთ, რომელიც ამ საქმეს გულისხმიერად მოეკიდა, ისინი ექსპერტიზას დანიშნავენ, ექსპერტებთან არაერთი კითხვა დაისმება, მათ შორის, ერთ-ერთი იქნება ესეც – შეეძლო თუ არა, გადამეტებული დოზით გაკეთებულ ნარკოტიკულ საშუალებებს ის შედეგი გამოეწვია, რაც ჩემი შვილის მიმართ დადგა, – აცხადებს ჩარკვიანი.

გარდაცვლილი ფეხბურთელის მამა ამბობს, რომ ექიმები სრული სიმკაცრით უნდა დაისაჯონ.

– საზოგადოებამ მინდა გაიგოს, რომ ახალგაზრდა ბიჭი ტყუილად არ გარდაცვლილა, ჯალათი ექიმების მიერ იქნა ჩემი შვილი მოკლული, ყველა ექიმი კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯოს, ამით ჩემი შვილი ვერ დამიბრუნდება, მაგრამ მისი სული მოისვენებს, ამასთან, საზოგადოებისთვის ნათელი იქნება იმ ექიმთა ვინაობა, რომელთაც ამ ყველაფერში წვლილი მიუძღვით.

გარდაცვალებამდე სახეზე, მხარზე, მუხლზე ნაიარევი, ასევე ჰემატომები ჰქონდა. ჩემი მეუღლე რეანიმაციაში შევიდა, შვილისთვის სურათების გადაღება მოვახერხეთ. მანამდე ვიდეოთვალით ვესაუბრებოდით მას და ეს დაზიანებები არ ჰქონია, როცა აპარატზე შეაერთეს, დაზიანებები გაუჩნდა. არ ვიცი, ალბათ, ვიღაცამ ჩემი შვილი ფიზიკურად შეურაცხჰყო. ერთ-ერთ მოწმეს ჩვენება აქვს მიცემული, რომლის მიხედვითაც, როცა ჩემი შვილის გაპატიოსნება ხდებოდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, მისმა მეგობრებმა იკითხეს, თუ რა დაზიანებები ჰქონდა ვახტანგ ჩარკვიანს. კლინიკაში მათ უთხრეს, რომ ეს „ნაწოლი“ იყო, ყველას მოგვეხსენება, რომ ერთი თვის დაწოლილ პაციენტს, რომელსაც სხვადასხვა მხარეს აწვენდნენ, „ნაწოლი“ არ უჩნდება, ეს სრული აბსურდია, – განაცხადა ჩარკვიანმა.

მისივე თქმით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა, რომლის დასკვნაც დაზარალებულის უფლებამონაცვლეს ჯერ არ მიუღია.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაცვლილი ფეხბურთელის ოჯახის ბრალდებებზე კომენტარს არ აკეთებენ.

ცნობისთვის, 20 წლის ფეხბურთელი, ვახტანგ ჩარკვიანი 10 სექტემბერს, რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა. მას კლინიკაში შეყვანისას კორონავირუსი ჰქონდა, თუმცა, მისი ოჯახის განცხადებით, გარდაცვალებამდე ჩარკვიანს კოვიდი დამარცხებული ჰქონდა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობას გულისხმობს.

## „დანაშაული, რომელსაც გვედავებოდნენ, არავის ჩაუდენია“



ბათუმის ყოფილი მერი გიორგი ერმაკოვი 5 ივლისს სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. პროკურატურა მას მილიონ 370 ათას ლარზე მეტის გაფლანგვასა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავებოდა.

ყოფილი მაღალჩინოსანი საქალაქო სასამართლომ ციხეში 7 წლით გაუშვა, თუმცა გუშინ გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ შეცვალა და ერმაკოვის ბრალეულობა მხოლოდ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში დაადგინა.

– დანაშაული, რასაც ჩვენ გვედავებოდნენ, არავის არ ჩაუდენია, არც შეეძლო არავის, ჩაედინა. მე კეთილსინდისიერად, ნამუსიანად, შემიძლია თქვენც ჩაგხედოთ თვალებში, ყველა იმ ბათუმელს, ვინც ღირსია, რომ ატაროს ეს სახელი და ვისაც მე დიდ პატივს ვცემ თანადგომისთვის, ერთგულებისთვის, იმ ნდობისთვის რაც გამომიცხადა, – ამბობს ერმაკოვი.

ადვოკატის განცხადებით, უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებენ გადაწყვეტილებას და ერმაკოვის სრულ გამართლებას მოითხოვენ.

## „ვაკეში ძიძა დაატყვევეს და ხუთი თვე გარეთ არ უშვებდნენ“

ძიძების ასოციაცია სოციალურ ქსელში წერს:

„ძვირფასო ძიძებო!

ძიძების ასოციაცია გაფრთხილებთ თბილისში, კავსაძის ქუჩაზე მოსახლე ოჯახის შესახებ, რომელიც ეძებს 24– საათიან ძიძას. იცოდეთ, რომ ოჯახში არსებობს თქვენი უფლებების შელახვისა და ფიზიკური ზიანის საფრთხე. თუ მაინც გადაწყვეტთ მუშაობის დაწყებას, აუცილებლად გააფორმეთ ხელშეკრულება.

რამდენიმე დღის წინ ასოციაციას დაუკავშირდა ძიძა, რომელიც დასაქმებული იყო ამ ოჯახში და ითხოვა დახმარება, რადგან იყო ჩაკეტილი და, სურვილის მიუხედავად, ვერ ახერხებდა სახლის დატოვებას.

– ჩვეულებრივ, მას სამუშაო დღე-ღამის განმავლობაში არ ჰქონდა სახლის დატოვების ან ბავშვის გასეირნების უფლება. 5 თვის განმავლობაში ამ გრაფიკით იმუშავა 24-საათიან რეჟიმში და შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები;

– კვირაში 1 დასვენების დღე ხშირად იყო გამოყენებული ოჯახის მიერ, შეთანხმებისა და დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

– ბავშვთან ძიძა თითქმის მუდმივად მარტო იმყოფებოდა;

– თითქმის არასდროს ითვალისწინებდნენ ძიძის ნებას, სურვილსა და უფლებებს;

– სამსახურიდან წასვლის გადაწყვეტილების შესახებ 1 თვით ადრე გაფრთხილების მიუხედავად, ძიძას არ აძლევდნენ სახლის დატოვების უფლებას და განზრახ არ მიდიოდნენ სახლში, რომ მას არ დაეტოვებინა ბავშვი;

– ძიძა იმყოფებოდა მუდმივი ფსიქოლოგიური წნეხის მდგომარეობაში და ამის გამო (კარის ჩამკეტი კოდის ცოდნის მიუხედავად) ვერ ილებდა სახლის დატოვების ან 112-ზე დარეკვის გადაწყვეტილებას;

– ძიძების ასოციაციამ მას გაუწია საჭირო კონსულტაცია. სატელეფონო კონტაქტით ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და დარწმუნების შედეგად, მოახერხა სახლიდან გამოსვლა და ამჟამად უსაფრთხოდ იმყოფება.

ამ ეტაპზე ასოციაცია შეგნებულად არ ასაჯაროებს ოჯახის ვინაობას.

თუ კიდევ ვინმე ხართ მსგავს პირობებში, იცოდეთ, რომ შეგიძლიათ, მომართოთ ასოციაციას.

გაავრცელეთ წერილი, რომ ძიძებმა გაიგონ ოჯახის შესახებ და გააფრთხილონ ერთმანეთი“.

## ციხეში მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარედგინა

საქართველოს პროკურატურამ პენიტენციარულ დაწესებულებაში მომხდარ განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 26 ივლისს, №17 პენიტენციარული დაწესებულების პატიმარმა ი.ჩ.-მ, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, ამავე დაწესებულების პატიმარ შ.ა.-ზე ფიზიკურად იძალადა.

„ძალადობის შედეგად დაზარალებულმა თავის არეში მიიღო სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები და შემთხვევიდან რამდენიმე წუთში, სამედიცინო დახმარების გაწევის მიუხედავად, გარდაიცვალა. პროკურატურამ პატიმარს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბრალდების მხარე თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრალდებულის მიმართ წინასასამართლო სხდომის განსაზღვრის თაობაზე კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## მარნეულში მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარედგინა

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქემ წარსულში არსებული შელაპარაკების გამო, პისტოლეტიდან დამიზნებით რამდენჯერმე ესროლა დაზარალებულს. მიღებული მრავლობითი ჭრილობების შედეგად დაზარალებული საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

„საქართველოს პროკურატურამ მარნეულში, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის საბაჟო საზღვარზე წესის დარღვევით გადმოტანის და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტებზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 3 ივლისს, ქ. მარნეულში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქემ ფ.დ.-მ წარსულში არსებული შელაპარაკების გამო, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, პისტოლეტიდან დამიზნებით რამდენჯერმე ესროლა დაზარალებულს, რის შემდეგაც საკონტროლო გასროლა განახორციელა. მიღებული მრავლობითი ჭრილობების შედეგად დაზარალებული საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულმა 2022 წლის ივნისში უკანონოდ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და უკანონოდ შემოიტანა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა.

სამართალდამცველებმა ფ.დ. 5 ივლისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „მ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით), 236-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა), 214-ე მუხლის მე-4 ნაწილით (საქართველოს საბაჟო საზღვარზე ცეცხლსასროლი იარაღის, წესის დარღვევით გადმოტანა) და 344-ე მუხლის პირველი ნაწილით (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურამ, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს უკვე მიმართა“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## სააკაშვილის სასამართლო პროცესებს, შესაძლოა, ევროკავშირის წარმომადგენლები დააკვირდნენ



ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესებსა და სამედიცინო ექსპერტიზის მიმდინარეობას, შესაძლოა, ევროკავშირის წარმომადგენლები დააკვირდნენ.

როგორც სააკაშვილის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ განაცხადა, ამ საკითხზე ევროკავშირის წარმომადგენლობაში შეხვედრები 6 ივლისს გამართა.

– საუბარი იყო ძირითადად სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ჩვენი თხოვნა იყო, რომ მოეხერხებინათ რამენაირად ამ ექსპერტიზის ჩატარებაში ან საქმის მსვლელობისთვის გამოყონ წარმომადგენელი ვინც დააკვირდება ამ საქმის მსვლელობას. ასევე, მნიშვნელოვანი თხოვნა იყო, რომ გამოეყენებინათ თავიანთი დიპლომატიური არხები იმისთვის, რომ უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლოს უფლება პატიმრისთვის, – განაცხადა შალვა ხაჭაპურიძემ „მთავარ არხთან“.

## ქართველი ქალი, „ობობა“, 13 საქმისთვის საბერძნეთში დააკავეს



საბერძნეთში 48 წლის ქართველი ქალი დააკავეს. მას ყაჩაღობისა და ქურდობის 13 საქმე ედება ბრალად.

ამის შესახებ ინფორმაციას ბერძნული მედია ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, 1974 წელს დაბადებული ქართველი ქალი, „ობობა“, 26 ივნისს დააკავეს. ქალმა ბერძენ მოხუცებს საძილე აბები, ნარკოტიკული ნივთიერებები მისცა და შემდეგ ძარცვავდა. ის უშუალოდ ძარცვის დროს დააკავეს.

პროკურატურის ცნობით, „ობობას“ მონაწილეობით ამ დროისთვის გახსნილია ყაჩაღობის 9 და ქურდობის 4 საქმე. უწყება მის ფოტოსურათებს აქვეყნებს და მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

# ბორის ჯონსონმა მინისტრთა კაბინეტის წევრი მაიკლ გოუვი თანამდებობიდან გაათავისუფლა



დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა მინისტრთა კაბინეტის წევრი მაიკლ გოუვი თანამდებობიდან გაათავისუფლა.



მედიის ცნობით, გოუვის გათავისუფლება იმ ფონზე მოხდა, როდესაც მან ჯონსონს გადადგომისკენ მოუწოდა.

– არ შეიძლება, გველი გყავდეს, – გოუვის გათავისუფლებასთან დაკავშირებით განუცხადა მედიას „დაუნინგ სტრიტის" წყარომ.

ცნობისთვის, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა თემთა პალატაში გამოსვლისას განაცხადა, რომ არ აპირებს გადადგეს მთავრობის მეთაურის პოსტიდან.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ბრიტანეთის მთავრობა სულ 42-მა პირმა დატოვა.

# ჩინეთმა და ინდოეთმა რუსეთს 3 თვეში 24 მილიარდი დოლარი გადაუხადეს

რუსეთმა ჩინეთისა და ინდოეთისთვის ენერგორესურსების მიყიდვით უკრაინაში შეჭრიდან სულ რაღაც სამ თვეში 24 მილიარდი დოლარი იშოვა.

ამის შესახებ შესახებ ბლუმბერგი იუწყება.

გამოცემა წერს, რომ ეს აჩვენებს, თუ როგორ ზღუდავს გლობალური ფასების ზრდა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის დასჯისკენ მიმართულ აშშ-ისა და ევროპის მცდელობებს.

ბლუმბერგის ინფორმაციით, ჩინეთმა მაისის ბოლომდე, სამი თვის განმავლობაში, რუსული ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის შესასყიდად 18.9 მილიარდი აშშ დოლარი დახარჯა, რაც თითქმის ორჯერ მეტია ერთი წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ამასთან, ინდოეთმა იმავე პერიოდში 5.1 მილიარდი დოლარი დახარჯა, რაც შარშანდელ მაჩვენებელს ხუთჯერ აღემატება.

გამოცემის ინფორმაციით, რუსეთმა ორივე ქვეყნიდან 13 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი შემოსავალი მიიღო გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

# მარიუპოლის აღდგენა 14 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დაჯდება



რუსი აგრესორების მიერ განადგურებული მარიუპოლის აღდგენა 14 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დაჯდება და ამის განხორციელებას 7-10 წელი დასჭირდება.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ მარიუპოლის მერ ვადიმ ბოიჩენკოს განცხადებაშია აღნიშნული, რომელსაც ქალაქის საკრებულო ავრცელებს.

მერის თქმით, ომის გამო 1356 მაღალსართულიანი შენობა განადგურდა ან დაზიანდა, კერძო სახლების 40% დაიბომბა. მათი უმრავლესობა რეკონსტრუქციას არ ექვემდებარება. ამიტომ გეგმები მოიცავს ახალი ობიექტების მშენებლობას.

– ექსპერტების წინასწარი შეფასებით, ინფრასტრუქტურის აღდგენის ღირებულება 14 მილიარდ დოლარზე მეტი იქნება. საბოლოო რიცხვები დეოკუპაციის შემდეგ, დანგრეული სახლების შეფასებისას დასახელდება. ევროპის საინვესტიციო ბანკმა და მსხვილმა უკრაინულმა ბიზნესკომპანიებმა უკვე გამოაცხადეს მზადყოფნა, ხელი შეუწყონ აღდგენის პროცესს, – განაცხადა ბოიჩენკომ.

# საფრანგეთში კორონავირუსის მეშვიდე ტალღა იწყება

საფრანგეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ქვეყანა შედის კოროვირუსული პანდემიის მეშვიდე ტალღაში მას შემდეგ, რაც ინფექციების ყოველდღიურმა რაოდენობამ დიდი ხნის განმავლობაში პირველად გადააჭარბა 200.000-ს.

გასული დღის განმავლობაში ქვეყანაში 206.000-ზე მეტი ახალი პაციენტი გამოვლინდა.

– შტამების ქვეტიპები იწვევს ეპიდემიის ზრდას მთელი ქვეყნის მასშტაბით, – თქვა ჯანდაცვის ახალმა მინისტრმა ფრანსუა ბრონმა ეროვნულ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას.

მედიასაშუალების ინფორმაციით, ჯერჯერობით მთავრობის დონეზე არ საუბრობენ სავალდებულო წესების დაბრუნებაზე და შემოიფარგლებიან მხოლოდ რეკომენდაციებით, რომ ატარონ ნიღაბი ხალხის თავშეყრის ადგილებში.

ამასთან, სამედიცინო საზოგადოებაში არის მოსაზრებები, რომ ნიღბის ტარების რეჟიმი სავალდებულო წესით უნდა დაბრუნდეს ტრანსპორტში.





# რუსმა ოკუპანტებმა ხარკოვში უნივერსიტეტი დაბომბეს

რუსული ძალების მიერ ხარკოვში უნივერსიტეტის შენობის დაბომბვის შედეგად 1 ადამიანი გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ხარკოვის რეგიონული პროკურატურის პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.

„გამოძიებამ შეისწავლა, რომ 6 ივლისს, დაახლოებით 01:00 საათზე, აგრესიული ძალების სამხედროებმა ხარკოვში კიივსკის რაიონი დაბომბეს. დაბომბვის შედეგად ადგილობრივ უმაღლესი განათლების დაწესებულებას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. მოკლულია 40 წლის დაცვის თანამშრომელი", – ნათქვამია განცხადებაში.

უკრაინული მედიის ცნობით, წინასწარი გამოძიება ომის კანონების დარღვევისა და განზრახ მკვლელობისთვის დაწყებულია.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# მასხარების ოჯახი ციხეში წარმოდგენის გამართვის შემდეგ გაიტაცეს და დახოცეს



გვატემალაში გარდაცვლილები აღმოაჩინეს 29 წლის ჰოსელინ შაკონ ლობო, ჩისპიტას ფსევდონიმით ცნობილი და მისი მეუღლე ნელსონ ვიიატორო, რომლებიც მასხარებად მუშაობდნენ.

ოჯახური წყვილი ქალაქ ესკუინტლას ციხეში პატიმრების წინაშე წარმოდგენის გამართვის შემდეგ გაუჩინარდა. სავარაუდოდ, ისინი ბანდის წევრებმა გაიტაცეს და დახოცეს.

ჰოსელინის დედა 52 დღე ეძებდა დაკარგულებს. წყვილის გაუჩინარების შემდეგ გვატემალის სხვადასხვა კუთხეში ჩატარდა ცხედრების ექსჰუმაცია, მაგრამ ყოველ ჯერზე – უარყოფითი შედეგით. ბოლოს და ბოლოს, დახოცილი მასხარები იპოვეს ქალაქ ვილია-ნუევაში მდებარე სახლში. მკვლელობის ადგილზე აღმოაჩინეს მათი ფეხსაცმელები და გრიმები.

ჰოსელინ შაკონ ლობოს დასაფლავება ქალაქ ამატიტლანში გაიმართა. მისი სასახლე, რომელზეც ფერადი ქაღალდები იყო დაკრული, მის კოლეგებს მიჰქონდათ.

სამართალდამცავებს ჯერჯერობით მკვლელობაში ეჭვმიტანილები არ გამოუვლენიათ და არ დაუკავებიათ.

# მამამ ორი წლის გოგონა საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა

ამერიკის ტეხასის შტატში მამამ თავისი ორი წლის გოგონა დახრჩობას საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა.

აღნიშნული ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც რობ ბერლინჯერი ოჯახთან და მეგობრებთან ერთად ტბა კანიონლეიკზე იახტაზე ისვენებდა. მამაკაცი თავის ორი წლის გოგონასთან ერთად იახტის უკანა ნაწილში, მოაჯირთან იდგა. ამ დროს იახტას სხვა ხომალდის გავლის შედეგად წარმოქმნილმა ტალღამ დაარტყა და მამა-შვილი წყალში გადაცვივდა.

ამის დანახვაზე გოგონას დედა წყალში გადახტა მათ დასახმარებლად, მაგრამ შემდეგ მას თავად დასჭირდა დახმარება. გოგონას გადასარჩენად მშობლები მას ერთმანეთს რიგრიგობით გადასცემდნენ. სხვა იახტის ეკიპაჟმა გოგონა და დედამისი გადაარჩინა, მაგრამ ბერლინჯერის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა. ის წყლის სიღრმეში ჩაიძირა.

მიმდინარეობს მამაკაცის ცხედრის ძებნა მაშველებისა და მყვინთავების მონაწილეობით, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ცოლმა ქმარი მანქანაში საყვარელთან ერთად გამოიჭირა

ჩინეთის მკვიდრმა ქალმა სახელი მას შემდეგ გაითქვა, რაც ქმარი ავტომობილში საყვარელთან გამოიჭირა და სახალხო სკანდალი მოუწყო.

ვიდეოზე გადაღებული შემთხვევა 26 ივნისს ხებეის პროვინციის ქალაქ ლანფანის ქუჩაში მოხდა. კადრებში ჩანს, რომ ქალი, გვარად ლი, მივარდება ავტომობილს, რომელშიც მისი მოღალატე ქმარი და მისი საყვარელი იმყოფებიან. ქალი შეურაცხმყოფელ სიტყვებს გაჰყვირის, შემდეგ კი აგურით მანქანის გვერდითა მინის ჩამსხვრევას ლამობს.



– ის ქალი მხოლოდ მისი საყვარელი შეიძლება იყოს, ვინაიდან ქორწინების მოწმობა ჯერ ისევ ჩემს ხელშია! უსირცხვილო! გინდა, ის სასტუმროში წაიყვანო, მაშინ როდესაც მე თქვენ უკვე გამოგიჭირეთ! – გაჰყვირის 41 წლის ქალი.

მოგვიანებით შემთხვევის ადგილზე პოლიცია მივიდა და კონფლიქტის ყველა მონაწილე დააკავა. გაირკვა, რომ ქალი დიდი ხანია ეჭვობდა, რომ ქმარი ღალატობდა, უთვალთვალებდა და ბოლოს მათი ერთად გამოჭერა მოახერხა.

2022, 8 ივლისი, №133



# 20 წლამდე ნაკრებმა შოტლანდიას გადაურბინა

საქართველოს მორაგბეთა 20-წლამდელთა ნაკრებმა 6 ერის ზაფხულის სერიების მე-3 მატჩში შოტლანდია რეკორდული სხვაობით, 55:17 დაამარცხა და ჯგუფური ეტაპი მე-3 ადგილზე დაასრულა.

ეს ნიშნავს, რომ უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა" მინიმუმ 2 გუნდს გაასწრეს – შოტლანდიასა და ირლანდიას. ახლა ჩვენები მე-5 ადგილისთვის საფრანგეთს შეერკინებიან.



დავუბრუნდეთ შოტლანდიასთან მატჩს: თუ არ ჩავთვლით საწყის 15 წუთს, საქართველო სრულ უპირატესობას ფლობდა და ტაიმში 4-4 ლელო გაიტანა. მატჩის დებიუტში თამაშში შესვლა გაგვიჭირდა. ხშირი იყო ტექნიკური წუნი, რის გამოც მეტოქეს ბურთი დავუთმეთ და შოტლანდიამ 15 წუთში 2 ლელო გაიტანა. მე-18 წუთზე პირველად ავკინძეთ ფაზები, მეტოქის 5-მეტრიანიდან მოლი ავაგორეთ და რატი ზაზაძემ ჩვენი პირველი შეტევა ლელოთი დაასრულა, პეტრე ხუციშვილმა რთული პოზიციიდან გარდასახა. შოტლანდიელთა ნახევარზე მე-2 გადასვლა მე-2 ლელოთი დასრულდა. ამჯერად მოლმა დაახლოებით 20 მეტრი იარა და 5 ქულა ბექა შვანგირაძემ მიითვალა.

30-ე წუთზე უკვე საქართველო დაწინაურდა. ჩვენებმა მეტოქის 5-მეტრიანთან მათი შერკინება მოიგეს, ამას ფორვარდების მიძალება მოჰყვა და ალექსანდრე ქუნთელიამ ლელო გაიტანა. 38-ე წუთზე ლელო ცენტრიდან დაწყებულ შეტევას მოჰყვა. მოლის შემდეგ დავით ხუროშვილმა კარგად შეუტია, იერიში მაღალ ტემპში გაგრძელდა, უპირატესობის ხაზი ყველა ჯერზე გადავლახეთ, 5-მეტრიანთან ხუროშვილმა გრძელი პასით ლაშა ციხისთავი მოძებნა, რომელმაც კარგი ოფლოუდით ლელოში შალვა აფციაური შეუშვა.

ხუციშვილმა ბოლო 2 ლელო გარდასახა. გაწითლებულ დროზე შოტლანდიამ ცადა 5-მეტრიანი დერეფნიდან ლელოს მოლით გატანა, მაგრამ თავი დავიცავით და შესვენებაზე 14-ქულიანი უპირატესობით გავედით – 26:12.

მე-2 ტაიმში საქართველო კიდევ უფრო თავისუფლად ათამაშდა და უპირატესობა ეტაპობრივად გაზარდა. 53-ე წუთზე, ფაზების აკინძვის შემდეგ, შეტევა თითქოს აგვერია, მაგრამ ბექა შვანგირაძემ ორიგინალურად ითამაშა, ფეხით მოკლეზე გადაკიდებული თავად აიღო და ციხისთავს შეატევინა, რომლის ოფლოუდის შემდეგ ზაზაძემ დუბლი შეასრულა, ხუციშვილმა გარდასახა. 57-ე წუთზე ხუციშვილმა კარის წინ 30 მეტრიდან ჯარიმა უკვე კარში დაარტყა და მონაგარს 3 ქულა შემატა.

64-ე წუთზე შოტლანდიელებმა მაინც შეძლეს ერთი საპასუხო ლელოს გატანა, მაგრამ ქართველებმა იქვე უპასუხეს: ფეხით დაკიდებული ბურთი მოედნის ცენტრში, შოტლანდიელთა გარემოცვაში მყოფმა აფციაურმა მოხსნა და ლელოსკენ მაღალ სისწრაფეში დაიძრა, შემტევს კარგად მიჰყვა ბექა შვანგირაძე, ოფლოუდი შეირგო და ლელომდე დარჩენილი 10 მეტრი დაფარა. 70-ე და 75-ე წუთებზე მეტოქე მოლში 2-ჯერ დავჯაბნეთ: მე-7 ლელო პაატა გალდავამ, ხოლო მე-8 ნიკოლოზ ბაბუნაშვილმა მიითვალა. ხუციშვილმა 2-ვე გარდასახა – 55:17.

აღსანიშნავია, რომ შოტლანდიას ასეთი სხვაობით არც უელსთან წაუგია და არც იტალიასთან. ჩვენები კი ამ ორ გუნდთან დამარცხდნენ.

## შედეგები

**6 ივლისი**

**ფეხბურთი**

### უეფას ჩემპიონთა ლიგა

| | |
|---|---|
| ტობოლი-ფერენცვაროში | 0:0 |
| ბოდო-კლაკსვიკი | 3:0 |
| ჰიკი-რიგასი | 1:0 |
| დუდელანჟი-ტირანა | 1:0 |
| ზრინსკი-შერიფი | 0:0 |
| მარიბორი-შახტიორი (ს) | 0:0 |
| სლოვანი-დინამო (ბთ) | 0:0 |

### უეფას კონფერენს ლიგა

| | |
|---|---|
| ინტერი (ტ)-დრიტა | 1:0 |
| ვიკინგური-ევროპა | 1:0 |

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

### კაცები

| | |
|---|---|
| ფრიცი-ნადალი | 6:3,5:7,6:3,5:7,6:7 |
| გარინი-კირიოსი | 4:6,3:6,6:7 |

### ქალები

| | |
|---|---|
| ტომლიანოვიჩი-რიბაკინა | 6:4,2:6,3:6 |
| ჰალეპი-ანისიმოვა | 6:2,6:4 |

# მიხეილ ნარიაშვილი: „კარიერა არ დამისრულებია“

ფრანგულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მორაგბეთა ნაკრების 32 წლის პირველხაზელმა მიხეილ ნარიაშვილმა კარიერა დაასრულა და ფედერალ3-ის უზესის მწვრთნელი გახდა. როგორც გაირკვა, ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

„ბორჯღალოსანთა“ პირველხაზელი მიხეილ ნარიაშვილი შემოდგომაზე 2 ოპერაციას გაიკეთებს, სარეაბილიტაციო პერიოდის დასრულების შემდეგ კი მოედანს დაუბრუნდება.

**მიხეილ ნარიაშვილი:**

– დიდი მადლობა გულშემატკივარს ჩემ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და ინტერესის გამო. ნამდვილად არ ველოდი, ამდენ ადამიანს თუ ვახსოვდი და მქომაგობდა. გავრცელებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ კარიერა დავასრულე და მწვრთნელობა დავიწყე, სიმართლეს არ შეესაბამება. ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში არასწორი ინფორმაცია დაიწერა, რაც მერე სხვა გამოცემებმაც აიტაცეს, მათ შორის საქართველოში.

რეალობა ასეთია – ვიკეთებ 2 ოპერაციას, პირველს სექტემბერში კოჭზე და, სავარაუდოდ, ნოემბრის ბოლოს მუხლზე, რომელზეც გასულ წლებში უკვე გავიკეთე 3 ოპერაცია. რადგან რეაბილიტაციას მთელი წელი დასჭირდება, არცერთ გუნდთან არ მაქვს კონტრაქტი. შედეგად, უამრავი დრო მექნება და გადავწყვიტე, გავიარო 1-წლიანი სამწვრთნელო კურსები, რაზეც უკვე ჩავაბარე საფრანგეთში ერთ-ერთ სასწავლებელში.

ამავდროულად, რამდენიმე კვირის წინ ჩემმა მეგობარმა, ფედერალ 3-ის კლუბ უზესის პრეზიდენტმა შემომთავაზა, თუ შევძლებდი, თვეში რამდენჯერმე მათთან მივსულიყავი და ჩემი გამოცდილება გამეზიარებინა. ეს ძალიან მესიამოვნა. ერთი ის, რომ ეს ადამიანი ჩემი მეგობარია; მეორე – სწავლასთან ერთად, რა დონეზეც არ უნდა იყოს, პრაქტიკის მიღება მნიშვნელოვანია, რათა უკეთ აღვიქვა და მწვრთნელის პოზიციიდან დეტალები დავინახო. გუნდის მწვრთნელებს დავეხმარები გარკვეული ნიუანსების დახვეწაში, ვიქნები კონსულტანტი. ეს ინფორმაცია არასწორად იქნა გადმოცემული, ისე, რომ პირადად ჩემთან ინფორმაცია არავინ გადაამოწმა.

***– რა სირთულის ოპერაციებს გაიკეთებთ კოჭსა და მუხლზე?***

– მუხლზე მაქვს მე-4 ხარისხის ართროზი, რაც ოპერაციებმა გამოიწვია და სწორედ ეს მიშლის ხელს ვარჯიშსა და თამაშში. ვერ ვახერხებ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმის წარმოჩენას. ცალი ფეხით კი პროფესიონალური რაგბის თამაში ძალიან რთულია. მარჯვენა მუხლის დაზიანების გამო დიდი დატვირთვა მოდიოდა მარცხენა ფეხზე, რამაც გამოიწვია კოჭის ართროზი, ოღონდ შედარებით იოლ ფორმებში.

სექტემბერში სწორედ კოჭზე ვიკეთებ ოპერაციას, გამისუფთავებენ სახსარს და მისი აღდგენის შემდეგ მე-2 ოპერაცია დაიგეგმება. ამას მოჰყვება რეაბილიტაციის პროცესი და, თუ ჯანმრთელობა მომცემს საშუალებას, მოედანს დავუბრუნდები.

თუ მწვრთნელები ჩათვლიან, რომ მათთვის საინტერესო მოთამაშე ვარ, საქართველოს ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა შემიძლია, ჩემი მიზანი ნაკრებთან ერთად 2023 წლის მსოფლიო თასზე თამაში იქნება. ვიმეორებ, ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკურენციის ფონზე მე ვიქნები საჭირო ფორმაში, რადგან მსოფლიო თასი პატარა ტურნირი არ არის და ძველი დამსახურებების გამო იქ არავინ უნდა თამაშობდეს.

***– 10 ივლისს „ბორჯღალოსნები“ იტალიას ეთამაშებიან საკუთარ ქვეყანაში, ბათუმში. ალბათ რთული იქნება მისი ტელევიზიით ყურება.***

– საქართველოს ნაკრების ნებისმიერი თამაშის ტელევიზორში ყურება რთულია და ასე იქნება ახლაც. ვინც ჩემს კარიერას იცნობს, იცის, რომ სეზონის განმავლობაში, კლუბში იქნებოდა თუ ნაკრებში, თამაშების 90-95%-ს ვთამაშობდი. აქედან გამომდინარე, ბოლო წლებში, ტრავმების ფონზე, გული ძალიან ბევრ თამაშზე დამწყდა.



გულახდილად ვიტყვი, არსებული რეალობიდან გამომდინარე, საკუთარი თავის, გულშემატკივრისა და თანაგუნდელების მოტყუება იქნებოდა, იტალიასთან რომ მეთამაშა, რადგან ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში 100%-ით ვერ დავიხარჯებოდი. ამიტომ გულდასაწყვეტიც არაფერია. ნაკრებში არიან მოთამაშეებს, რომლებიც მაქსიმუმს გაიღებენ, წარმატებას მთელი გულით ვუსურვებ. იმედს ვიტოვებ, რომ ბათუმში ისტორიული თამაშის მომსწრენი ყველანი ერთად გავხდებით.

***– ცოტა ხნის წინ მონპელიეს დაემშვიდობეთ, სადაც მთელი სარაგბო კარიერა გაატარეთ.***

– მეგონა, რომ ამისათვის მზად ვიყავი, მაგრამ გაცილების მომენტი ჩემთვის მაინც ძალიან რთული აღმოჩნდა. ამ გუნდმა ბევრი რამ მომცა, მაგრამ მეც არასდროს დამიზოგავს თავი. ზოგჯერ ზედმეტიც მომდიოდა და ახლა ვფიქრობ, რომ შეიძლება ასეთი თავგანწირვა არც იყო საჭირო. ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც ტრავმა მქონდა და ტკივილგამაყუჩებლით გავდიოდი მოედანზე. ხვალ რომ მონპელიეში აღარ ვიქნები, ამაზე გული არ მწყდება, მაგრამ შეიძლებოდა, ყველაფერი სხვაგვარად მომხდარიყო.

მესმის, რომ ასეთი მაღალი დონის ტურნირში ყველა მწვრთნელს სჭირდება 100% მზად მყოფი მოთამაშე, მაგრამ გული მწყდება რამდენიმე ადამიანის უყურადღებობაზე. როდესაც ყველაფერი კარგად იყო მეუბნებოდნენ, რომ უჩემოდ მონპელიე ვერ წარმოედგინათ და ვერც მე წარმოვედგინეთ სხვა გუნდის კვართით, მაგრამ, როდესაც ტრავმები ერთმანეთს მიება, თვალს მარიდებდნენ. არ ვითხოვდი კონტრაქტს, უბრალოდ, არ მინდოდა, ჩემ მიმართ მათი დამოკიდებულება შეცვლილიყო. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ გუნდზე შეყვარებული ვარ და მუდამ ჩემს გულში დარჩება.

რაც შეეხება გულშემატკივარს, ინტერვიუებით და მოედანს მიღმა ცხოვრებით არასდროს მიმიქცევია ზედმეტი ყურადღება. ეს არასდროს მსიამოვნებდა. უბრალოდ, ვცდილობდი, მეთამაშა და მეჩვენებინა, რა შემეძლო. რატომღაც მეგონა, რომ ჩემი წასვლით გული არავის დასწყდებოდა და სასიამოვნოდ გამაკვირვა იმ თბილმა სიტყვებმა, რაც უამრავი ადამიანისგან გაცილების დღეს მოედნის დატოვებისას მოვისმინე. ძალიან დიდი მადლობელი ვარ თითოეული გულშემატკივრის და ეს დღე არასდროს დამავიწყდება.

ასევე არასდროს დამავიწყდება თანაგუნდელების უდიდესი პატივისცემა, სიყვარული და დაფასება. წელს მონპელიე ტოპ 14-ის ჩემპიონი გახდა, მაგრამ, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ამ ტიტულს საკუთარ თავზე ვერ ვიღებ. სეზონის განმავლობაში არაერთ უმნიშვნელოვანეს მატჩში მივიღე მონაწილეობა, რომლებშიც გამარჯვების შედეგად მონპელიემ რეგულარული სეზონი მე-2 ადგილზე დაასრულა და პირდაპირ ნახევარფინალში გავიდა. რომ არა ეს გამარჯვებები, შეიძლება, ჩემპიონობაც არ ყოფილიყო, მაგრამ ჩემთვის ტიტულზე უფრო დიდი გამარჯვება თანაგუნდელების მხრიდან დაფასება, სიყვარული და თანადგომა იყო, რასაც მთელი სეზონის განმავლობაში ვგრძნობდი. ვერ ვიტყვი, რომ წელს სასიამოვნო სეზონი მქონდა, მაგრამ ძალიან კარგი გამოცდილება შევიძინე, რაც მომავალში აუცილებლად გამომადგება.

# დინამო ბათუმში იმედიანად დაბრუნდა

**სლოვანი-დინამო (ბთ) 0:0**

**ბრატისლავა. ტეჰელნე პოლე**

**სლოვანი:** ხოვანი, მედვედევი, კაშია, აბენა, დე მარკო (ჩაკვეტაძე 57), კანკავა, კუცკა (ჰოლმანი 86), ბარსეგიანი (გრინი 57), ვაისი (ჩავრიჩი 78), ზმრჰალი, რამირესი (საპონიჩი 57)

**დინამო:** კუპატაძე, აზაროვი, კობახიძე, აზაცკი, ჩაბრაძე, ტეიდი, ალთუნაშვილი (ნავალოვსკი 86), მამუჩაშვილი, ბიძინაშვილი (რეხვიაშვილი 44), დავითაშვილი (ვაწაძე 72), ფლამარიონი (რადინი 72)

**გაძევება:** კობახიძე (42)

ბათუმის დინამომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე სადებიუტო სეზონი კარგად დაიწყო. გია გეგუჩაძის გუნდმა ბრატისლავაში ვლადიმირ ვაისის სლოვანთან მატჩი ფრედ დაასრულა – 0:0.



ზღვისპირელებმა შესანიშნავი შანსი მიიღეს, რომ მე-2 ეტაპზე გავიდნენ. თანაც ეს ყველაფერი იმის ფონზე, რომ ტაიმზე მეტი კაცნაკლულმა ითამაშა.

„ტეჰელნო პოლეზე“ მასპინძლები ქართულ გუნდს ქართველებით დაუხვდნენ – გურამ კაშიამ და ჯაბა კანკავამ ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს, ხოლო გიორგი ჩაკვეტაძე მოედანზე 58-ე წუთზე გამოჩნდა.

თამაში თანაბრად დაიწყო, შემდეგ კი სლოვანმა უპირატესობა იგდო ხელთ და რამდენიმე გოლის გატანაც შეეძლოთ: კერ ლაზარე კუპატაძემ პირისპირ დარჩენილ იური მედვედევს არ გაატანინა, შემდეგ კი ვლადიმირ ჟმრალს აუღო. ბათუმელთა მეკარემ იურაი კუცკასაც აჯობა და მისი შორეული გასროლა მოიგერია.

42-ე წუთზე დინამოს საქმე კიდევ უფრო გართულდა – ბათუმელთა კაპიტანმა მამუკა კობახიძემ მე-2 ყვითელი ბარათი მიიღო და დინამო მოედანზე კაცნაკლული დარჩა.

გეგუჩაძემ შეტევიდან ირაკლი ბიძინაშვილი მოხსნა და დაცვის ცენტრში აზაცკის გიორგი რეხვიაშვილი შეუწყვილა.

თითქოს დინამოს გაძლებაზე უნდა ეთამაშა, მაგრამ ასე არ მოხდა – ანტრაქტის შემდეგ გეგუჩაძემ გუნდს შეტევაში გადასვლა დაავალა და სლოვანს აიძულა, უფრო დაცვაზე ეფიქრა. ბრატისლაველებს მეტობის არაფერი ეტყობოდათ, სივრცეებიც ნაკლებად ჰქონდათ.

დინამოს ანგარიშის გახსნის რამდენიმე რეალური შანსიც მიეცა, მაგრამ ჯოვინო ფლამარიონმა, ზურიკო დავითაშვილმა და გრიგოლ ჩაბრაძემ მეკარეს ბურთი ზუსტად იქ დაურტყეს, სადაც იდგა.

მომენტი სლოვანსაც ჰქონდა: ჩაკვეტაძემ მაგარი პასით მედვედევი კუპატაძესთან ისევ პირისპირ დატოვა, მაგრამ ბათუმელთა მეკარემ ამჯერადაც აჯობა.

90-ე წუთზე მასპინძლები კიდევ ერთხელ გადარჩნენ – ბათუმელთა სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ ვლადიმერ მამუჩაშვილის ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთი მეკარემ მოიგერია.

მოკლედ რომ ვთქვათ, დინამოს ამ მატჩში წასაგები არაფერი ჰქონდა და ფრე ლოგიკური შედეგიც კი არის. ახლა წინ მე-2 და მთავარი მატჩია – 13 ივლისს „აჭარაბეთ არენაზე“ უნდა გაირკვეს, თუ ვინ გავა მე-2 ეტაპზე. დინამოს ჩინებული შანსი აქვს...

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# საქართველოს ფუტსალის ნაკრები ბელგიასა და ავსტრიას დაუპირისპირდება

შვეიცარიის ქალაქ ნიონში მდებარე უეფას შტაბ-ბინაში ფუტსალში მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეინ-რაუნდის წილისყრა გაიმართა.

36 ნაკრები 12 სამგუნდიან ჯგუფში გადანაწილდა. საქართველოს ნაკრები მეორე ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად ბელგიისა და ავსტრიის ნაკრები ეყოლება.

მეინ-რაუნდის მატჩები ორ წრედ, 2022 წლის შემოდგომაზე და 2023 წლის მარტში გაიმართება.

ელიტ-რაუნდის საგზურს კი ჯგუფის გამარჯვებულები და ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი მიიღებენ. დარჩენილი რვა მეორეადგილოსანი კი ელიტ-რაუნდის საგზურისთვის ბრძოლას ფლეი ოფში გააგრძელებს.

შეგახსენებთ, 2022 წლის იანვარში საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა და მეოთხედფინალს რუსეთის ნაკრებთან მარცხის შემდეგ გამოეთიშა.

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პიტნითა და ყინულით შეზავებული რომი ან ვისკი; 2. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 3. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 4. დესერტი-ტკბილეული; 6. ქართველ მწერალ არსენ მამულაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. სილის გორაკი ზღვის, ტბის სანაპიროზე; 11. ქალის სასიმღერო ხმა; 15. ჩაის დეგუსტატორი; 16. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 19. მეთორმეტე საუკუნის ქართველი ხატმწერი, ოქრომჭედელი; 21. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 22. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი.

**თარაზულად:** 5. სახელმწიფოს მიერ ფირმებზე, კერძო პირებზე გაცემული ფულადი დახმარება; 7. მდინარე კახეთში; 8. კროსვორდის გამომგონებელი; 10. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 12. ძვირფასი სარეწაო თევზი; 13. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 14. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. ღვინის დანალექი; 20. ქვანახშირის, მადნის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 23. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 24. მკბენარა მწერი; 25. ცნობილი თურქი ფეხბურთის მსაჯი; 26. კომბინაცია პოკერში; 27. უვიცი, უცოდინარი ადამიანი.



*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მაყვალი; 2. მაიოლიკა; 3. დისპუტი; 5. აბორდაჟი; 7. ათაბაგი; 9. მაჭანკალი; 13. მოურავი; 15. ყადაღა; 16. დიდუბე; 18. ნაიკი.

**თარაზულად:** 4. სარკაზმი; 6. გვასალია; 8. ღვინობისთვე; 10. ურბნისი; 11. ჭოტი; 12. იგუანა; 14. წყალი; 17. აკიდო; 19. ოდიში; 20. ზურმუხტი; 21. იუტა; 22. საწნახელი; 23. ვიმპელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბეჟარი; 2. პიუზო; 3. ტაიმსი; 4. კოპიჭი; 6. მატიანე; 9. ბანკო; 11. ბალასტი; 15. ნაფტალანი; 16. სესილი; 17. პასკვილი; 10. იურმალა; 21. საყდარი; 22. საცივი.

**თარაზულად:** 5. გენლაინი; 7. ამირანი; 8. აპნისი; 10. კანტონი; 12. ჭენჭი; 13. ბრასი; 14. ატკინსონი; 18. ტრალი; 20. ფესახი; 23. ბაჩანა; 24. ყუმი; 25. კალევი; 26. ვანი; 27. კრახუნა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9119

ევრო — 2.9690

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.4949

100 რუსული რუბლი — 4.5526

## ამინდის პროგნოზი 8 ივლისისათვის




## დეპაის ბარსელონის დატოვება არ სურს

ბარსელონის ჰოლანდიელ შემტევ მემფის დეპაის გუნდის დატოვება არ სურს და მან ამის შესახებ რამდენიმე განცხადებაც გააკეთა, სადაც ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ბარსელონაში ბედნიერია და არსად წასვლა არ სურს:

– ზუსტად არ ვიცი, თუ გაგრძელდება ჩემი კარიერა, მაგრამ მინდა, რომ ეს გუნდი ბარსელონა იყოს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ აქ დავრჩე.

## ხვიჩა კვარაცხელია ნაპოლიში წარადგინეს



ხვიჩა კვარაცხელია ოფიციალურად ნაპოლის ფეხბურთელი გახდა და ის უკვე წარადგინეს თავის ახალ გუნდში. ხვიჩა მთავარ მწვრთნელ ლუჩიანო სპალეტისაც შეხვდა და მასთან ერთად სურათიც გადაიღო.

სპალეტიმ განაცხადა, რომ კვარაცხელიას დიდი იმედი აქვს, რადგან მან ნახა ქართველი შემტევის რამდენიმე მატჩი.

ხვიჩამ, თავის მხრივ, თქვა, რომ მოუთმენლად ელის ნაპოლის მაისურით მოედანზე გასვლას.

## ვლადიმერ ვაისი: „ბათუმის დინამომ ფიზიკურად დაგვჯაბნა“



ბათუმის დინამომ სტუმრად სლოვანთან ფრედ 0:0 ითამაშა, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმელები მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში 10 კაცით იყვნენ მოედანზე. სლოვანის მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ვაისმა განაცხადა, რომ დინამომ მის გუნდს ფიზიკურად აჯობა:

– სამწუხაროდ, დინამომ ფიზიკურად დაგვჯაბნა და გამარჯვება სწორედ ამის გამო ვერ მოვიპოვეთ. იმედი მაქვს, შემდეგ ეტაპზე გავალთ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

სახლში დაბრუნებულ ქმარს მაგიდაზე ტორტი დახვდა 20 სანთლით. გაკვირვებული, ცოლს ეკითხება:

– დღეს ვინმეს დაბადების დღეა?

– ჩემი პალტოსი. დღეს 20 წელი შეუსრულდა!

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– მეგობარი მამაკაცი გყავთ?

– არა!

– როგორ, ასეთ ლამაზ ქალს მეგობარი მამაკაცი არ გყავთ?

– ქმარი არ მაძლევს მაგის უფლებას.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– რა საშინელებაა, 61 კილოგრამს ვიწონი!!!

– და რამდენი იყავი?

– დედა მეუბნებოდა, 3,400 ვიყავი...

●●●

სამი მამაკაცი ზის და სვამს. ერთი ამბობს:

– ჩემ კატას პენოპლასტს ვეძახი. რამდენჯერ ვცადე წყალში დახრჩობა, არაფრით იძირება.

– ჩემსას ბუმერანგს ვეძახი, – ამბობს მეორე, – სად არ წავიყვანე და დავტოვე, მაინც ყოველთვის უკან ბრუნდება.

– ჩემსას კი ჯორდანო ბრუნო დავარქვი, – ამბობს მესამე.

– რა სადისტი ხარ?! – შესძახეს ერთხმად დანარჩენებმა.

– არა, რას ამბობთ, უბრალოდ, ვარსკვლავების ყურება უყვარს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ქეთი დოლიძე საქართველოს მთავრობას მიმართავს



რეჟისორი ქეთი დოლიძე საქართველოს მთავრობას ღია წერილით მიმართავს და ქალაქში არსებულ ხმაურს აპროტესტებს:

– ქალაქის მთავრობას!

ზაფხულია! ვცხოვრობ ბაზალეთისა და ფალიაშვილის ქუჩების კუთხეში!

ასეთი სიცხის დროს შეუძლებელია, ფანჯარა არ გავაღო!

რა ეშველება ამ უბედურებას:

ღამის 9 საათიდან იწყება მაყუჩმოგლეჯილი მანქანების არანორმალური ღრიალი და გამონაბოლქვი!

რა დავაშავეთ, რა?!

დაქრიან, ალბათ, 200 კმ სიჩქარით!

უზნეო, უსაქმური, უნამუსო ხალხი!

აღარაფერს ვამბობ იმ ოჯახებზე, სადაც პატარა ბავშვები არიან!

## მომღერალი გიორგი ბუგიანიშვილი თანამდებობაზე დაინიშნა



ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალი გიორგი ბუგიანიშვილი თანამდებობაზე დაინიშნა. იგი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწეა კულტურის დარგში.

გიორგი ბუგიანიშვილი 2001 წლიდან დღემდე ანსამბლ „თეატრალებსა“ და ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლ „ჩოხოსნებს“ ხელმძღვანელობს.

1995 წლიდან დღემდე არის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ წევრი. მანამდე კი იყო ბიჭუნათა ფოლკლორულ ანსამბლ „მართვეს“ ხელმძღვანელი, უფრო ადრე – ბიჭუნათა ფოლკლორულ ანსამბლ „მართვეს“ წევრი.

გიორგი ბუგიანიშვილმა თბილისის კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე ისწავლა. მან ასევე განათლება მიიღო მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში.

ამჯერად გიორგი ბორჯომში გააგრძელებს მუშაობას, სადაც მერს კულტურის დარგში სასარგებლო რჩევებსა და იდეებს გაუზიარებს.

## „არტ გენი“ იწყება



ფესტივალი „არტ გენი“ 15 ივლისიდან ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაიწყება. საზეიმო გახსნაზე მისულ საზოგადოებას საშუალება ექნება, მთელი დღის განმავლობაში ფესტივალის ორგანიზატორთა მიერ წარმოდგენილ მრავალფეროვან პროგრამას გაეცნოს.

თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიმართება ხალხური რეწვის გამოფენები, კულინარიის, ღვინისა და ლუდის სივრცეები. ღონისძიებებზე 12 წლამდე ბავშვების დასწრება უფასოა.

15 ივლისს, ფესტივალის გახსნის დღეს, სტუმრები სამცხე-ჯავახეთისა და იმერეთის რეგიონებიდან ფოლკლორულ ნიმუშებს წარმოადგენენ. ფოლკლორის დასკვნით ნაწილს ახალციხიდან თბილისში ჩამოსული ანსამბლი „მესხეთი“ დახურავს. პირველ საფესტივალო დღეს „სუხიშვილების“ კონცერტი დააგვირგვინებს.

16 ივლისს ფოლკლორის ტურში მონაწილეობას მიიღებენ სტუმრები სვანეთისა და სამეგრელოს რეგიონებიდან, ფოლკლორის დასკვნითი ნაწილი ანსამბლ „გორდელას“ დაეთმობა. საფესტივალო დღის კულმინაცია კი „გაგა ფრანის“ კონცერტი იქნება.

17 ივლისს „არტ გენის“ ფოლკლორის ეპიზოდის სტუმრები გურიისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან ჩამოსული ხელოვანები იქნებიან. ფოლკლორის დასკვნით ნაწილში ფესტივალის სტუმრები ანსამბლების „ადილეისა“ და „ჰოროლის“ კონცერტს დაესწრებიან. საფესტივალო ღონისძიებებს ანსამბლი „რეგიონი“ დახურავს.

22 ივლისს ფოლკლორის ნაწილს მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონებიდან ესტუმრებიან. ფოლკლორის დასკვნითი ნაწილი დუშეთიდან მოწვეულ ანსამბლ „ქალილოს“ დაეთმობა. ამავე დღეს დამსწრე საზოგადოებისთვის იმღერებს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“. დღის კულმინაცია კი ნინო ქათამაძისა და მისი ბენდის კონცერტი იქნება.

„არტ გენი“ 23 ივლისს ფოლკლორისტებს რაჭისა და აჭარის რეგიონებიდან უმასპინძლებს. ფოლკლორის დასკვნითი ნაწილი ანსამბლ „ძირიანს“ დაეთმობა. საფესტივალო დღის ბოლოს სანდრო ნიკოლაძე და მისი ბენდი „არტ გენზე“ მისულ მსმენელს განსაკუთრებულ საკონცერტო პროგრამას შესთავაზებენ.

24 ივლისს, ფესტივალის დასკვნით დღეს, ფოლკლორული ღონისძიებები მთლიანად თუშეთისა და კახეთის რეგიონებიდან ჩამოსულ სტუმრებს დაეთმობათ. ფოლკლორის დასკვნით ნაწილში კონცერტს გამართავენ საგარეჯოდან ჩამოსული ანსამბლი „ბერიკაცები“ და ლელა თათარაიძე და ტრიო „კესანე“.

წლევანდელ „არტ გენს“ ნიაზ დიასამიძე და ჯგუფი „33ა“ დაასრულებენ.

## თბილისში თანამედროვე ხელოვნების ცენტრი გაიხსნება

ეს ინფორმაცია მხატვარმა ლევან სონღულაშვილმა ინტერნეტით გაავრცელა:

– თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი თბილისში – „აქ იქნება მუზეუმი“ – შეხვედრა გაიმართა 6 საერთაშორისო არქიტექტორთან, რომლებიც მსოფლიოს ლიდერ არქიტექტურულ კომპანიებს წარმოადგენდნენ.

სექტემბრამდე მათ უნდა შეისწავლონ თბილისი, მისი ურბანული და ისტორიული თავისებურებები, ლანდშაფტი, თავად, ე.წ. მიხაელოვის კლინიკის არქიტექტურა, რათა უცვლელად შენარჩუნდეს და სწორად რესტავრირდეს მე-19 საუკუნის ისტორიული შენობის ფასადი, თუმცა ინტერიერი იქცეს საერთაშორისო ტიპის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმად, რომელიც არ იქნება კიჩი, სხვა ევროპული მუზეუმების ბრმა კოპირება; არ იქნება ჩაკეტილი, საზოგადოებისგან იზოლირებული სივრცე, არამედ, იდეაში, ეს ადგილი უნდა იქცეს დედაქალაქის სავიზიტო ბარათად, კულტურულ-შემეცნებით ცენტრად, საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების ტერიტორიად, რომელიც ღია იქნება ყველასთვის და გავლენას იქონიებს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ასევე, შენარჩუნდება და განვითარდება ბაღი და სხვა.

სექტემბრის დასაწყისში შერჩეული 6 საერთაშორისო არქიტექტორი წარმოადგენს თავიანთ პროექტს/გეგმას, საიდანაც გამოვლინდება 3 ფინალისტი; ნოემბერში დასახელდება ერთი გამარჯვებული პროექტი და დაიწყება თანამედროვე ხელოვნების ცენტრის შექმნის პროცესი.

## ნიტა საკანდელიძე ანტალიაში დააჯილდოვეს




სამოდელო სააგენტო „კატრინის“ პატარა მოდელი ნიტა საკანდელიძე ანტალიაში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე დააჯილდოვეს:

– სამოდელო სააგენტო „კატრინის“ პატარა მოდელმა ნიტა საკანდელიძემ საერთაშორისო ფესტივალზე ანტალიაში გაიმარჯვა და დაჯილდოვდა ნომინაციით „ლითელ მის ეურაზია“ (პატარა მის ევრაზია).

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 8 ივლისისათვის

**ვერძი** – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **კურო** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებთან ურთიერთობას. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ და გამოასწორეთ. **კირჩხიბი** – მოულოდნელად ინტრიგებში გაიხლართებით. ყოველგვარ კამათსა და საქმის გარჩევას თავი აარიდეთ. მშვიდად იმუშავეთ. **ლომი** – პირობა აუცილებლად შეასრულეთ. დღეს გაამართლებს ახალი საქმის დაწყება. **ქალწული** – ახალი კონტაქტები სასიკეთო შედეგს გამოიღებს. თქვენი ფინანსები საკმაოდ გაიზრდება. **სასწორი** – იყავით მიმტევებელი, მომთმენი. ემოციებს ნუ აჰყვებით. თქვენი კეთილგანწყობა გარშემომყოფებზეც დადებითად იმოქმედებს. **ღრიანკალი** – ოჯახურ ურთიერთობებს გაუფრთხილდით. თქვენს საქმეში ჩარევის უფლებას ნურავის მისცემთ. **მშვილდოსანი** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს. **თხის რქა** – იყავით ინდივიდუალური. სხვას ნუ მიბაძავთ. მარტოხელებს გელით რომანტიკული ნაცნობობა. **მერწყული** – უაზრო სიჯიუტე დაგაზარალებთ, თუმცა არც მთლად უპრინციპობა ვარგა. ზომიერება დაიცავით. **თევზები** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მთიანეთი აზიაში; 2. პირი, რომელიც არცერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 3. ბრიტანეთის ნაწილი; 5. მთავრობის წევრი; 7. ბეთჰოვენის ოპერა; 9. სამედიატორო სასამართლო; 13. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 15. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 16. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 18. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა.

**თარაზულად:** 1. სასტუმრო თბილისში; 6. სამხედრო შენაერთის მღვდელი; 8. ქართული მკლავჭიდელი, მსოფლიო ჩემპიონი; 10. მოხარშული კვერცხის გულიანი ხაჭაპური; 11. გერმანელი მოდელიერი; 12. გენო ხოჯავას მხატვრული ფილმი; 14. მდინარის მიერ მოტანილი სილა, ღორღი; 17. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 19. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 20. ტერიტორიული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში; 21. ჩეხური მოტოციკლეტი; 22. ხეების ფესვებზე მზარდი საჭმელი სოკო; 23. ხელით სასროლი ძველებური ბასრწვერიანი ქართული საბრძოლო იარაღი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

